


„ხარს ვგვევარ ნაიალღარს, რქით მიწასა ეჩხვერ ვებუბუნებ.  
 ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვღუღუნებ.“ ვაჟა



# თავისუფლება

825 / 2  
 1979



საკაპიტველოს ბანთაჰისუფლებიხისათჰის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი

**TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA**

Journal périodique en langue géorgienne

*Djobadze's  
 Library*

№27 PARIS DECEMBRE 1979 დ ე კ ე მ ბ ე რ ი პ ა რ ი ზ ი №27

გ ა მ ო ც ე მ ი ს მ ე ე ქ ვ ს ე წ ე ლ ი

მ ო გ ი ლ ც ა ვ თ 1980 წ ე ლ ს

წელი ახალი

შენ, წელი ძველი, თან წარბიანე თუ კი შემორჩა ნაღველი საღმე,	წელი ახალი, შენ მოგვითანე მზით სხინაყარი ცხოვრების კალო!	რომ სიხარულით მღეროდეს გული, მას ბანს აძლევდეს ყველა სულდგმული,	იდგეს ზეიმი თავისუფლების ვაზის ჩანათალ შორს მყოფ ლერწების!
---	---	--	---

როზა აბნერაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

- |     |   |                     |
|-----|---|---------------------|
| .2  | საახალწლო                               | მოწინავე            |
| .4  | პარტია : მთლიანი საბჭოთა ხალხის პარტია? | ელენ კარერ დ'ანკოსი |
| .8  | სტალინის 100 წლისთავისათვის             | გიორგი წერეთელი     |
| .15 | ნანახი და ნააზრები                      | გიორგი ჯაყელი       |
| .18 | ორი დიდი თარღის შესახებ                 | გრიგოლ წერეთელი     |
| .20 | „ძველი ცოცხალი წინაპარია“               | მინდია ლაშაური      |
| .22 | სამგლოვიარო                             |                     |
|     | კონსტანტინე გუნიას ნეკროლოგი            | იონა გუნია          |
| .23 | ჩვენი ფონდი                             |                     |
| .24 | რუსთაველის თეატრი შოტლანდიის მიწაზე     | ბანძელი             |



ეს ნომერი 1979 წლის დამამთავრებელია. ის თქვენთან ერთად ეგებება 1980 წელს ჩვენი ტრადიციული საახალწლო მილოცვა განკუთვნილია ჩვენი მკითხველები-სადმი და საერთოდ ქართველი ერისადმი. კერძოდ რას დინატრით? — უპირველესად, ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს, რადგანაც ესენია თავიდანაივი ყველა ადამიანისათვის, რომ მან იცხოვროს ღირსეულად და თავისი წილი ვალი მოიხადოს: ოჯახის, საზოგადოების, ერის და კაცობრიობის წინაშე.

— ამასთან ერთად, ჩვენი საერთო სანუკავარი იდეალის — ჩვენი სამშობლოს უტხო, რუსი, ერის მპყრობელობისაგან — დაუყოვნებლივ განხორციელებას.  
— და შემდეგ, სიცოცხლის მოსპობის საფრთხედან, ატომური ომი რომ ემუქრება, განთავისუფლებას, ქვეყნად, ხალხთა შორის კემშარიტ მშვიდობის დამყარებას, ადამიანის, როგორც შიმშილის და სიღატაკის ისე სახელმწიფოს სულისმხუთავ არტახებიდან დახსნას, სამართლიანობის დამყარებას და გამტკიცებას, ადამიანთა და ერთა შორის უანგარო ძმობა-მეგობრობის, და თანასწორობის ზემოში დასწრებას და წილის დაღებას.

ყველა ესენი ოდითგან სანატრელი ყოფილა და არის დღესაც ყველა კეთილშობილ კაცისთვის, მილიონობით ადამის შვილი შეწირვია მათ გამარჯვებისთვის წარმოებულ ბრძოლებს, მაგრამ ისინი ცაში დაკიდებული ვარსკვლავებივით მხოლოდ შორიდან კიფობენ წყვდიადით მოცულ სამყაროში და ჯერ კიდევ ხელშესახები ვერ გამხდარან. გახდებიან კი ოდესმე? იმედ, იმედი და ლტოლვა მაინც განგებამ ნუ მოგვიშალოს!

**როგორი იყო წელი რომელიც მიდის, რას გვიტოვებს ის მომავლისათვის ან სანუკემოს ან შემაშფოთებულს?** — დედანაზე, რომელიც ჩვენი ქართველობის მთავარი მაჩვენებელია, მძაფრი იერიში მიპქინდათ რუსებს. ცხიერებით თუ აშკარა ძალმობრებით ისინი ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შეესუსტებიათ ქართული ენის უზენაესობა. ცდილობდნენ მის გამოდენას სახელმწიფო დაწესებულებებიდან, უმაღლესი და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებიდან, რადიოსა და ტელევიზიებიდან. თუ აქამდე რუსული ენის შესწავლას ბავშვები დაწყებითი სკოლის პირველ კლასიდანვე იწყებდნენ, ეხლა ესეც აღარაა მათთვის საკმარისი. სსრკ-ს განათლების მინისტრის, მ. ა. პროკოფიევის განცხადებით, არარუსულ რესპუბლიკებში რუსული ენის შესწავლა სკოლაშდეულ ასაკში უნდა დაიწყოს, ეი. ბავშვბალებში.

საქმელ-სასმელის, ტანთამოსის, ბინის და ბინის მოწყობილების ქრონიკულ ნაკლებობას და ხშირად სრულიად უპოვნელობას დამატა ენერგიის კრიზისი. მართალია დღევანდელ მსოფლიოში ყველგან ჩივიან ამას, მაგრამ გარდა ფასების მომატებისა დემოკრატიულ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით მისი ნაკლებობა არავის განუცდია. საქობებში საჯაროთ ნათვის და ბენზინის ნაკლებობაზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ საქართველოს ქალაქები მწვავედ განიცდიან მის ნაკლებობას, შარშანდელი ზამთარი გაუმთბარ ბინებში გამოიზამთრეს და წელსაც ამ მხრივ დამომარება კიდევ უფრო უარესია.

ვინაიდან თავისუფალი შრომის უფლება წარმთელი აქვთ და ლეგალური გზით თავი ვერ დაუტყაყოფილებიათ, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ შრომის ანაზღაურება ისე დაბალია, რომ ის არ იძლევა წესიერად ცხოვრების საშუალებას, მოსახლეობა სულ უფრო მრავალრიცხოვნად გაუტრბის სახელმწიფო დაწესებულებებში შრომას და ეძებს არაკანონიერ გზებს, ხშირად სამარცხვინოსაც, რომლის ხანგრძლივი პრაქტიკაც გამოიწვევს სავალალო შედეგებს ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიაზე.

ჯანსაღი და ენერგიით სავსე ქართველი ახალგაზრდები რუსებს უშენებენ ბიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალს, ქართველ სტუდენტებს არდადეგების დროს სამუშაოდ აგზავნიან ყამირში, ბელრუსიაში და სხვა შორეულ კუთხეებში სიდაც მოუფლეობის გამო ბევრი ავადმყოფდება. ქართველ ხალხს უსაშველო ყვლევენ რუსეთის სკანდალური შეიარაღების და, რუსეთის პრესტიჟის-ასტრონავტიკის ასტრონომიული ხარჯების დასაფარავად.

ქართველი ხალხი სულ უფრო და უფრო ერთსულოვანია თავი დააღწიოს რუსების ბატონობას. ის ფრთხილად მაგრამ გადაჭრით ეძებს ხსნის გზებს.





საერთაშორისო სარბიელზე

18 ივნისს, ქ. ვენაში, ლ. ბრენენგმა და ჯ. კარტერმა ხელი მოაწერეს შეტყვევებულ ატომური იარაღის შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა შეჯიბრებას ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის ახალ-ახალი ურთიერთ გამანადგურებელი ატომური იარაღის დამზადებაში. ჯერ კიდევ სათუთა მიიღებს თუ არა ამერიკის კონგრესი მას იმ ფორმაში, როგორშიაც ის ხელმოწერილი იყო ვენაში, მაგრამ რატი-ოკაციის შემთხვევაშიც, ამ ხელშეკრულებით ძირითადად არ იცვლება ატომური ომის რეალური საშიშროება. ის არც უკვე მარაგშია, ორივე მოქიშპეს განკარგულებაში, საკ-მარისია მთელ დედამიწაზე რაჯერ მთელი სიცოცხლის მოსასპობად. საკმარისია ერთი საბედისწერო შეცდომა და რამოდენიმე წუთში შეიძლება კაცობრიობას თავს დაატყდეს საარაკო უბედურება. ეს რომ არ მოხდეს, საკირო იყო არსებული ბოძებების სრული გა-ნადგურება და კონტროლის დაწესება, რომ რომელიმე მხარე არ შეეცალოს სხვების მოტ-ყუებას, ამას კი საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად უარყოფს, რადგანაც კონტროლი დაუ-შვებელია სახელმწიფოთა სუვერენობის პრინციპების გამო. ვინაიდან ბრენენგის და მისი მემკვიდრეების „რანდულ“ სიტყვას ვერცერთი სერიოზული სახელმწიფო მოღვაწე ვერ ენდობა, ადამის მოდგმის ეს ყველაზე საშური საკითხი დღემდე მოუგვარებელი რჩება. მიუხედავად მისი ასეთი შეურთებლობისა, საბჭოთა პრობაგანდა ურცხვ კამპანიას ეწე-ვა ატომური იარაღის ხმარების აკრძალვის და საყოველთაო მშვიდობიანობის სასარგებ-ლოდ, და უნდა ითქვას, რომ ნაწილობრივად ის კიდევ აღწევს მიზანს: გაუფებრობას და ექვემსებებას ბადებს იმათში ვინც კარგად არ არიან ჩახედული საქმეში.

ამრიგად, ატომის საფრთხის თავიდან აცილების და ხალხთა შორის მშვიდობის დამყარების საქმეში, მიმავალ წელში მნიშვნელოვანი პროგრესი არ ყოფილა, პირიქით, ირა-ნის ამბები საფუძვლიან შეშფოთებებს იწვევენ.

ჯერ კიდევ ნათელი არ არის თუ რამ მიზეზითაა შაჰი სახელმწიფოს საქე სტიქი-ისათვის მიეტოვებია. ზოგი ამას კარტერის მარცხიან პოლიტიკას აბრალებს. შეიძლება ნაწი-ლობრივ ეს ასეც იყოს, მაგრამ მთავარი პასუხისმგებლობა, როგორც ხალხის რისხვის აზვა-ვებაში ისე სახელმწიფოს მიტოვებაში თავად ყოფილ შაჰს აკისრია. და დღეს კი მას თავი ვერსად შეუფარება შურისმაძიებელ მის ყოფილ ქვეშევრდომებისგან.

პირველ თებერვალს, შაჰის მიერ გაქვებულ იმამი აიათოლა ხომეინი, თავისი რე-ვოლუციური შტაბით, უკან დაბრუნდა და ირანის რევოლუცია თეოკრატიულ რეჟიმის გზით წარმართა. ხომეინის რეჟიმი თავს „ისლამურ რესპუბლიკას“ უწოდებს. ის ეყრდნობა ხო-მეინის ისლამურ კომიტეტებს და შიიტ მოღვებს. ხომეინის რევოლუციაც ვერ აცდა ყველა რევოლუციების ავადმყოფობას: უაზრო პოლიტიკურ ტერორს და პოლიტიკურ და ეკონომი-კურ ანარქიას. ირანის ეროვნული უმცირესობები სარგებლობენ ცენტრალური ხელისუფლე-რის დასუსტებით და მოითხოვენ ავტონომიას. ქურთები, აზერბაიჯანელები, ბალუჩები, არაბები და თურქმენები იარაღით ხელში ებრძვიან ხომეინის ჯარებს. ებრაელებიც და სომხებიც უკმაყოფილო არიან ხომეინის ისლამური რესპუბლიკის. ანარქიით და ტერორით შეშინებული შექცეული მოსახლეობა თავიანთი ქონებით უცხოეთში იხიზნება(მათ რიც-ხვს 600ათასს ანგარიშობენ), სოფლის მსხვილი მეურნეობა ნადგურდება, ქალაქის წარმო-ებები იკეტებიან, 35 მილიონიან ირანში 3,5 მილიონი უმუშევარია. სახელმწიფო არსებობს მხოლოდ ნეთის შემოსავლით. საზღვარგარედ ნელ-ნელა იწყებს დარაზმვას ოპოზიცია. ასეთ პირობებში ხომეინის მთავარ შტაბს ესაჭიროება ისეთი თეატრალური მოქმედება, რომელიც იმედგაცრუებულ ბრბოს აღაჯუნებს და რევოლუციონერულ სულს შთაბერავს. ცხადია: ისინი ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდნენ და ეს შემთხვევაც მათ ადვილად გამოუჩნდათ. კიბოს სენით დაავადებულ ყოფილ შაჰს, რომელიც მექსიკაში აფარება თავს, ამერიკის მთავრობამ ნება დართო ამერიკის სახელმწიფოში მკურნალობისა. დაუყოვნებლივ, ოთხ ნოემბერს, თეირანის სტუდენტებმა დაიკავეს ამერიკის შ. შ-ის საელჩო, საელჩოს მოსა-მსახურეები მძევლებად აიყვანეს და გამოაცხადეს: თუ ამერიკის მთავრობა შაჰს და მის ქონებას ირანს არ გადმოსცემს მძევლებს ამოეხოცათო. აიათოლა ხომეინმა თავის თავ-ზე აიღო სტუდენტების ავანტიურისტული წამოწყება.

ზედმეტია იმის თქმა, რომ ასეთი პირატობა დაუშვებელია სახელმწიფოსაგან. ის



ს ა ბ ჯ ო თ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ ე ბ ი :  
პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება  
(გაგრძელება. იხ. „თ.ტ.“№25 და 26)

პარტია : მთლიანი საბჭოთა ხალხის პარტია?

სახელმწიფო აპარატზე უფრო მეტად კომუნისტურ პარტიას უკავია ორჭოფული ადგილი საბჭოთა კავშირის წონასწორობაში. ლენინს მუდამ მიაჩნდა პარტია პროლეტარიატის მოწინავე ნაწილად და ის დაზღვეული უნდა ყოფილიყო ეროვნებათა შორის არსებულ განსხვავებებისაგან. 1917 წლამდე ის წინააღმდეგი იყო მუშათა კლასის ისეთი ორგანიზაციის არსებობის, რომელიც გამომხატველი იქნებოდა რუსული საზოგადოების ეროვნული სხვადასხვა თვისებების. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, ფედერაციულ სახელმწიფოს მოყვა პარტიის პარალელური რეკონსტრუქცია. ფედერაციაში შემავალ თითოეულ რესპუბლიკაში იქნა დაარსებული რესპუბლიკური კომპარტია და სწორედ აქედან იწყება, სხვათაშორის, გაუგებრობა, სინამდვილეში ეს პარტიები არიან ს.ს.რ.კ.-ს კომპარტიის განუყოფელი ნაწილები, და მათ არ აქვთ არავითარი ზედმეტი უფლება ვიდრე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს. ამ პარტიების წევრები არიან ოფიციალურად ს.კ.კ.პ-ის წევრები და რესპუბლიკური ორგანიზაცია ჩანს განსაკუთრებული სახელწოდება, რომელიც დაცლილია ყოველგვარ განსაკუთრებულობისაგან. ამ პარტიების დანიშნულებაა მხოლოდ თავიანთი არსებობით აჩვენონ საბჭოთა ფედერალიზმი. მაგრამ არც უფლებრივად და არც პრაქტიკულად რესპუბლიკების კომუნისტებს არ ენიჭებათ არავითარი ავტონომია, ეს ადვილი გასაგებია, თავიანთ ბუნებით, კომუნისტური პარტია არის ერთიანობის, შეკრების სტრუქტურა და არა განსხვავებულობისა.

რესპუბლიკების კომპარტიების არსებობის გამართლება შეიძლება იყოს აგრეთვე იმ განზრახვით, რომ ფედერაციული ორგანიზაციის წიაღში არსებობდეს წონასწორობა სსრკ-ს სხვადასხვა ეთნურ წარმომადგენელს შორის. ეროვნული წარმომადგენლების იციხეთ და დადგენილებებში მონაწილეობით? ამ რესპუბლიკური და ცენტრალური ორგანიზაციების საშუალებით ს.კ.კ.პ უწყობს ხელს ეროვნულ თანამშრომლობას? თუ ცენტრალიზმს? პირველი პასუხი გამომდინარეობს ს.კ.კ.პ. წევრთა შემადგენლობის დაკვირვებიდან, თუ რა წონას წარმოადგენენ მასში სხვადასხვა ეროვნებათა ჯგუფები, ამ მხრით, სსრკ-ს ისტორია უწინარეს ყოვლისა დადამსმულია პარტიაში სხვადასხვა ეროვნებების ჯგუფთა წარმომადგენლების უთანაბრობით. 1976 წელში ს.კ.კ.პ. ითვლიდა 15 638 891 წევრს და მასში წარმომადგენელი იყო ასევე მეტი ეროვნება.

პარტიის ეროვნული შემადგენლობის განხილვიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობენ: ზოგიერთი ეროვნული ჯგუფების ხვედრითი წონა პარტიაში სპარბოზს მათ ხვედრით წონას მთელ მოსახლეობაში.

ასეთი მდგომარეობაა ქართველების შემთხვევაშიც, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არიან წარმოდგენილი, შემდეგ რუსები და სომხები, ყველაზე ნაკლებად კი ბალტიის ხალხები, საერთოდ უმრავლესობა მუსულმანები (გამონაკლისია ყაზახები და აზერბაიჯანელები). მაგრამ თუ სამოციან წლების დასაწყისის მდგომარეობასთან დღევანდელს შევადარებთ ადვილ აქვს ამ უთანაბრობის შემცირებას.

თუ ავიღებთ 1970-76 წლებს, ყოველ თასს მცხოვრებზე კომპარტიის წევრი იყო: რუსები 74, უკრაინელები 62, ბელორუსები 62, უზბეკები 35, ყაზახები 53, ქართველები 80. ლატვიელები 40, მოლდავეები 25, ლიტველები 46, ყირგიზები 34, ტაჯიკები 30, სომხები 66, თურქმენები 32, ესტონელები 49, აზერბაიჯანელები 53, სხვადასხვა 54,

აქედან ცხადია, რომ მიუხედავად ეროვნული წარმომადგენლობათა დიდი სხვადასხვაობისა, არარუსები მაინც დიდ მონაწილეობასღღებულბენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ შთაბეჭდილებას აბათილებს რიგი ფაქტებისა, რომლებსაც სხვა ხასიათი აქვთ. უპირველესად, თუ გადავხედავთ ზოგიერთ რესპუბლიკის პარტიის წევრთა ეროვნულ შემადგენლობას დავინახავთ რომ ხშირად ეროვნულ წარმომადგენლების წილი არ არის თანაბარი, საერთო მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონისა. მაგალითად, ლიტვაში და მოლდავეთში, რომლებშიც ძირითადი მოსახლეობა 56,8% და 64,6% შეადგენს მთელი მოსახლეობისა, პარტიაში კი მათი წილი არ აღემატება 50 პროცენტს. ლატვიაში, ლატვიელები რესპუბლიკის მოსახლეობის 88 პროცენტს შეადგენენ, პარტიაში კი შეადგენენ 65 პროცენტს და



უკრაინელები, რუსები და პოლონელები კი პარტიის წევრების 34 %ს წარმოადგენენ. დაქვემდებარებული სურათითა სხვა რესპუბლიკებშიც.

კიდევ უფრო გასაკვირია ის განსხვავება, რომელიც არსებობს რესპუბლიკების პარტიებსა და ს.კ.კ. პარტიაში ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის. ამ უცნაური მდგომარეობის, რომლის ახსნაც ძნელია, მავალით იძლევა ისევ ლიტვა. 1977 წლის 1 თებერვალს, ქ. რიგაში ადგილი ჰქონდა ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელთა კონფერენციას. პირველმა მდივანმა ავგუსტ ვოსმა ხაზი გაუსვა პარტიის რიგებშიაზიის წევრების მიღების არადაამკაცყოფილებელ მდგომარეობას, პარტიის წევრთა რიცხვი ძალიან ნელა მატულობსო. ო. ვოსის განცხადებიდან ირკვევა, რომ განსხვავება არსებობს ლიტვის კომპარტიის წევრთა რიცხვსა, რომელიც ძალიან ნელა იზრდება, და ს.კ.კ. პარტიაში ლიტველთა რიცხვს შორის, რომელიც უფრო ჩქარა მატულობს.

ასეთივე მდგომარეობა იყო აზერბეიჯანშიც. სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ი. ასკეროვის განცხადებით, 1971-76 წლებში (პარტიის ორ ყრილობას შორის), აზერბაიჯანის კომპარტიაში მიღებული იყო 29.274 ახალი წევრი. მაგრამ ამავე პერიოდში ს.კ.კ.პარტიაში მიღებული იყო 47.502 აზერბაიჯანელი ასეთი უცნაურობა მხოლოდ შემდგენიარად შეიძლება აიხსნას: რესპუბლიკებში დროებითი მცხოვრები პირები (სამხედროები, ტექნიკოსები და სხვა), ისეთებიც კი რომლებიც საცხოვრებლად რესპუბლიკებში არიან ჩაწერილი, შესაძლებელია ს.კ.კ.პარტიის წევრები იყვნენ ისე, რომ არ გათარიონ რესპუბლიკების კომპარტიების რიგები, და ეს მაშინ, როცა პარტიის საქმიანობას აქვს ტერიტორიული ხასიათი, ასეთი მდგომარეობა მიგვითითებს იმაზე, რომ კომპარტიის დაყოფას რესპუბლიკებად აქვს მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათი, რომ ისინი უბრალო ტოტებს წარმოადგენენ საკავშირო კომპარტიისას და რომ მათ ხშირად უგულებელყოფენ ის კომუნისტები, რომლებსაც ფეხები არ აქვთ რესპუბლიკაში.

ამრიგად, კომპარტიის წევრების საკითხის შესწავლას მივყავართ ორ ურთიერთ საწინააღმდეგო დასკვნამდე:

1. ს.კ.კ. პარტია, ყოველგვარი ექვის გარეშე, მიუხედავად ზოგიერთი უწონასწორობისა, თავს გვაჩვენებს, მრავალერიან საბჭოთა საზოგადოების გამომხატველად.
2. ამავე დროს, რესპუბლიკების კომპარტიების სისუსტე გვიჩვენებს, რომ ს.კ.კ. პარტიის მოწოდება არის ცენტრალიზაცია, ისაა ერთადერთი პარტია ყველა ერებისა და არა ეროვნული პარტიების თავმოყრა.

**პარტიაში წევრების მიღების უკეთესი წონასწორობა ნიშნავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მენტაკლებად თანაბარ მონაწილეობას?**

ამის საპასუხოდ საჭიროა განვიხილოთ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

როგორც კი მივბრუნდებით ცენტრალურ ორგანოებისაკენ, იქ სადაც იღებენ გადაწყვეტილებებს; ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, სამდივნო, მდგომარეობა მკვეთრად იცვლება, მათში წარმოდგენილ ეროვნებათა წარმომადგენლობის შესუსტებით. უკვე ცენტრალურ კომიტეტში 82 % სლავებია რომლებიც სსრკ-ს მოსახლეობის მხოლოდ 73 %ს შეადგენენ. ეს უთანაბრობა კიდევ უფრო მატულობს დანარჩენ ორ უმაღლეს ორგანოში. პოლიტბიუროს წევრებს შორის მხოლოდ ორია არასლავი თქვესმეტიდან და კანდიდატებში კი, სამი ექვსში. რაც შეეხება სამდივნოს, იქ ვერ ნახავთ ვერც ერთს, ეროვნებების წარმომადგენელი რომ იყოს. გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი და ათი მდივანი, ყველა რუსია ან გარუსებული სლავი(ასეთია თვით ლ. ბრეჟნევი) და, მაშასადამე წარმოდგენენ ცენტრალიზაციის პოლიტიკას. თვით არარუსებიც პოლიტბიუროში იმყოფებიან არა როგორც ეროვნებათა წარმომადგენლები, არამედ როგორც ცენტრის გადაწყვეტილებათა გამტარებლები ეროვნულ რესპუბლიკებში. ასეთია კახახისტანის კომ. პარტიის პირველი მდივანი კუნაევი და აზერბაიჯანის კომ. პარტიის პირველი მდივანი ალი რეზა ალიევი, რომელიც სანამ ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდა, მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში (ნ.კ.კ.-დ) და რომელმაც გაგდებულ ვასილ მუჟანაძის ადგილი დაიკავა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობისა.

საბჭოთა რეალური ხელისუფლების ორგანოთა შემადგენელთა განხილვიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

1. უპირველესად, ამ დონეზე ზედმეტი ეძებო ს.ს.რ.კ-ს ეროვნულ სტრუქტურის ნასახიცი კი, რუსების უზენაესობა, უფრო ნაკლებად სლავების, არის სრული. ამას ნათლად მოწმობს სამდივნოს

*Djoadze's Library*

შემადგენლობა.

2. ზოგიერთი ერი უკედნა წარმოდგენილი, ვიდრე სხვები პოლიტიურაში. ერთი მხრივ, უკრაინა და ბლორუსია და მეორე მხრივ, ცენტრალური აზია, ან უფრო ფართოდ მუსულმანური რესპუბლიკები. სამაგიეროდ აღსანიშნავია ქართველების და სომხების წარმომადგენლების არყოფნა, მაშინ როცა ისინი ჭარბად არიან წარმოდგენილი პარტიაში, და ასევე ბალტიის ქვეყნებისა. აქედან მტიცილება, რომ პარტიის წევრების რაოდენობას გავლენა არ აქვს ცენტრალურ- იქ, სადაც გადაწყვეტილებები იღება- ხელისუფლებაზე.
3. და ბოლოს, აღსანიშნავია რომ უკანასკნელ ხანის 70-იან წლების დემოგრაფიულ ცვლილებებს, არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე, რომლებიც უკვლელი არიან, პოლიტიურაში ახლად მოსულები არიან მხოლოდ რუსები. (მაგალითად რომანოვი, ლენინგრადის რეგიონალური კომ. პარტიის პირველი მდივანი)
4. უკანასკნელი შემჩნევა ეხება ეროვნებათა წარმომადგენლების შეყვანას ისეთ ძირითად პოლიტიკურ დარგში, როგორცაა ნომენკლატურა. ნომენკლატურის სია შედგება 30.000-დან 40.000-ამდე კომუნისტისაგან, რომელსაც ამტკიცებს სსსრ.კ-ს კ.პ. ცენტრალური კომიტეტი, და ისინი წარმომადგენენ პარტიის ძირითად კადრებს. ცხადია, თუ თანამდებობის სია რომელიც ნომენკლატურას შეეხება, ცენტრალურ კომიტეტის პასუხისმგებლობას შეადგენს, ამ თანამდებობებზე დანიშნვის უფლება ეკუთვნის ცენტრალურ კომიტეტის ვიწრო, განსაკუთრებულ ორგანოს, რომელიც განაგებს კადრებს. ვინაიდან ცენტრალურ კომიტეტის სამდივნოში, მხოლოდ რუსები და იშვიათად სლავები არიან, ეროვნებები მოკლებული არიან უფლებას, მონაწილეობა მიიღონ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დასანიშნ პირთა შერჩევაში, რადგანაც კომპარტიის ც.კ. სამდივნო წარმოადგენს ნამდვილ აღმასრულებელ ორგანოს, სსსრკ.ს კომპარტიისას და მით საბჭოთა სახელმწიფოსისაც.

აქ ისმის კითხვა: ვინაიდან ამ დონეზე რესპუბლიკებს არ შეუძლიათ გავლენის მოხდენა ამ საკითხში. აქეთ თუ არა მათ შესაძლებლობა ზემოქმედებისა საბჭოთა სისტემის მეორე მხრიდან, ესე იგი, რესპუბლიკების კ.პ.ც.კ. სამდივნოების საშუალებით? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა შევისწავლოთ რესპუბლიკების, ამ მმართველი აპარატის შემადგენლობა და გამოვიარკვიოთ ეროვნებების კომუნისტები რამდენად არიან ბატონ-ბატონები თავიანთი ბედისა.

მოსკოვის მსგავსად, რესპუბლიკებში თეორიულად პარტიის უმაღლესი ორგანოა ცენტრალური კომიტეტი, სინამდვილეში კი მისი სამდივნო. სამდივნო, რომელიცაა მუდმივი ორგანო რესპუბლიკებში, ხასიათდება იმ გადამწყვეტი როლით, რომელიც მასში უკავიათ პირველ და მეორე მდივნებს, და იმ ფუნქციების განაწილებით, რომლებიც მათ აკისრიათ. მდივნების არჩევანი, რომლებიც ყოველგვარ ექსტრემულ ცენტრალურ ორგანოს გადაწყვეტილების ნაყოფია, იძლევა ნების ნომენკლატურის პოლიტიკის განსაზღვრისას? რა კრიტერიები უდევს საფუძვლად რესპუბლიკების პარტიების ორი მთავარი პირის შერჩევისას? რა მოვალეობანი აკისრიათ მათ?

ჯერ ვილაპარაკოთ მოვალეობებზე, რომ უკედ გავიგოთ ის პოლიტიკა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანების არჩევას.

რესპუბლიკის პირველ მდივანს აქვს გარკვეული მოვალეობა. ოფიციალურად ისაა პარტიის ყველაზე მაღალმდგომი პირი ენება. ის მართავს, აკონტროლებს, ათანხმებს ცენტრალური კომიტეტის სახელით. მეორე მდივანი უფრო რთული ბუნებისაა. წარსულში, მეორე მდივნები არ ასრულებდნენ ყოველთვის ერთსა და იმავე საქმეს. ზოგჯერ ამავე ფუნქციის შემსრულებელს ეწოდებოდა უბრალოდ მდივანი, ხან კიდევ სხვა და ა.შ. უკანასკნელ წლებში პრაქტიკის განმტკიცება, რომ მეორე მდივანს აქვს სრული პასუხისმგებლობა კადრების და ორგანიზაციის.

ხრუსჩოვის ჩამოყრდნის შემდეგ, მოხდა ევოლუცია რესპუბლიკების მდივნების სპეციალიზაციის დარგში. პირველი ნომერი მდივანი ოფიციალურად განმგებელია და მეორე მდივანს აბარია გადაწყვეტი ფუნქცია კადრების შერჩევისა. ეს ისაა, რომელსაც რესპუბლიკებში აბარია ნომენკლატურის საკითხი და ამგვარად ისაა ნამდვილი წარმომადგენელი ცენტრალური ხელისუფლებას რესპუბლიკაში. შემთხვევითი არ არის, რომ კომპარტიის საკითხების იშვიათი მცოდნე ეერი ჰუეი, მეორე მდივნებს უწოდებს პრეფექტს. უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ამ მეორე მდივნების მნიშვნელობა თანდათან მატულობს და ეს გასაგებია, რადგანაც ისინი განაგებენ რესპუბლიკების კადრების შერჩევას. შესაძინეგვია აგრეთვე ის ფაქტიზი წონასწორობა რომელიც არსებობს პირველ და მეორე მდივნებს შორის.





რის. პირველი მდივანი სარგებლობს დიდი ავტორიტეტით, მას შეუძლია გახდეს ცენტრალური ორგანიზაციის განყოფილების წევრი; ეროვნების წარმომადგენლებს რომლებსაც პოლიტიურადაც ვხვდებით, არიან პირველი მდივნი და არა მეორეები. ეს ნიშნავს პირველი მდივნების უმადლესობას მეორეებზე? პრაქტიკა გვიმტკიცებს, რომ არაფერი ამის მსგავსი არ არის. მეორე მდივნები არამც თუ დაქვემდებარებული არ არიან პირველებს, არამედ ისინი მათ აწონასწორებენ და აკონტროლებენ. თვითონელი მათგანის პოზიციას უკედ ვავიკებთ თუ დავაკვირდებით ამ თანამდებობების პიროვნებებს რესპუბლიკაში (რ.ს.ფ.ს.რ.—ის გამოკლებით, რადგანაც უნდა გავიხსენოთ, მას არ გააჩნია საკუთარი კომუნისტური პარტია), ახლო წარსულში და 1978 წლის დასაწყისში, როცა ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა.

როცა დაწვრილებით ვეცნობით რესპუბლიკების მდივნების ეროვნულობის საკითხს, მივიღებთ შემდეგ დასკვნამდე: წარსულში, 1950-იან წლებიდან 1964-ანის დამდეგამდე, სტალინის განგვირგვინების პირველ წლებში, გვხვდება ყველა შესაძლებელი შემთხვევა: პირველი და მეორე მდივანი ორივე ეროვნულია, ორივე რუსია, პირველი ეროვნულია და მეორე რუსი, ან პირიქით, პირველი რუსია და მეორე ეროვნული. მაგრამ 60-ანი წლების დამდეგიდან თანდათან ეწყობა ერთი გარკვეული წესი: პირველი მდივნები ეროვნულებია და მეორეები რუსები. 1978 წლის დასაწყისისისათვის ასეთი წესი ვრცელდება ყველა რესპუბლიკების მიმართ. ამრიგად, მეორე მდივნის თანამდებობა გადასწყვეტ მნიშვნელობას დებულობს რესპუბლიკებში. მას ევალება ცენტრალიზმის გატარება მაშინ, როცა პირველი მდივანი ანხორციელებს ფედერაციის სხვადასხვაობას, პირველი მდივნები წარმომადგენლები არიან რესპუბლიკებში და ისინი წარმოადგენენ რესპუბლიკებს ს.კ.კ.პარტიაში. საბაგიროდ, მეორე მდივანი რესპუბლიკებში, არის ცენტრის გამოხატულება. ის, რომელიც ატარებს რესპუბლიკებში ცენტრის დადგენილებებს და მას უდგენს მნიშვნელოვან თანამდებობებზე დასანიშნად კანდიდატებს.

როგორც წესი, პირველი მდივნები სანამ ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდნენ ასრულებდნენ იგივე მოვალეობას რესპუბლიკის რაიონებში, ან უფრო დაბალი თანამდებობა ეკავათ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოში. მეორე გზა პირველი მდივნობის მისაღწევად არის რესპ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, სადაც გვხვდება ბევრი კანდიდატი პარტიის პირველი მდივნის თანამდებობის. ეს ამტკიცებს არაერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, (მაგრამ არა მინისტრების) პრაქტიკაში ეკუთვნის პარტიულ იერარქიას და არა ადმინისტრაციულს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ადვილად ხდება პარტიის მეთაურად და პირიქითაც. იგივე მდგომარეობას არ აქვს ადგილი მინისტრებისთვის, გარდა სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარისა (კ.გ.ბ.), რომლის ადგილიც სახელმწიფო იერარქიაში განსაკუთრებულია.

მეორე მდივნების შემთხვევაში, მათი ამ თანამდებობაზე დაწინაურების აუცილებელ პირობად ჩანს, ს.ს.რ.კ.—ს კ.პ.კ. კომიტეტის აპარატის ვაცა. იქ მათი მომზადება ხდება ორი გზით. ბევრ მეორე მდივნებს ადრე ეკავათ ინსპექტორის, სექციის უფროსის, ზოგიერთ შემთხვევაში განყოფილების თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, ს.ს.რ.კ.—ს კ.პ.კ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში. ვასაგებია, რომ ამ განყოფილებაში მთავარი საკითხია სათანადო კადრების შერჩევა დასაბასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნა.

კ.პ. ცენტრალურ კომიტეტში აგრეთვე არსებობს რეგიონალური ქვედანაყოფები. ცენტრალური აპარატის ზოგიერთი წევრი, ვამოჩნდება ხოლმე რესპუბლიკების კომპარტიების კონგრესებზე, როგორც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, რაც უჩვენებს იმას, რომ მათ აკისრიათ რეგიონალური საკითხები. ვადარებთ არ შეიძლება თქვას, რომ რესპუბლიკების კ.პ. მეორე მდივნები მუდამ ს.კ.კ.პ. ცენტრალურ კომიტეტში მზადდებოდნენ, მაგრამ ძალიან ბევრ შემთხვევაში მათ თვითონი გამოკლივლა მიღებული აქვთ, ცენტრალურ კომიტეტში და იქვე ათავითცნობიერებული არიან კადრების საკითხთან, რაც წარმოადგენს მეორე მდივნების ძირითად მოვალეობას.

საზოგადოდ ვრწმუნდებით, რომ რესპუბლიკების კ.პ. პირველ მდივნებს, გამოკლივლა აქვთ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ საქმეებში, მაშინ როცა მეორე მდივნები პარტიული აპარატის ადამიანები არიან.

ასეთი განსხვავებული კარიერა, გამოკლივლა და წარმოშობა, ხელს უწყობს პრაქტიკაში პირველი მდივნების მეორეებზე დაქვემდებარებას. ეს არის არსებითი დაქვემდებარება, ხოლო გარგნულად პირველ მდივნებს აქვთ მეტი ავტორიტეტი, მათ ეკუთვნის პარტივი განახორციელონ ეროვნული კომპარტიები, იყენენ მათი წარმომადგენლები და ილაპარაკონ მათი სახელით. მათი წარმომადგენლობა და მათი დაქვემდებარება შეიძლება პასუხობს ერთ უკანასკნელ განსხვავებას პირველ და მეორე



მდივნებს შორის: პირველი მდივნებისდღე მოწყვლადობას. პირველი მდივნები უფრო ხანგრძლივნი არიან, ვიდრე მეორეები, მაგრამ ისინი უკედ არ არიან დაცულნი, ვიდრე მეორენი. პირიქით, ი. ბილისკიმ აღნიშნა, თავის იშვიათ შრომაში კადრების შესახებ, რესპუბლიკების კ.პ. პირველი მდივნები სარგებლობენ უფრო ხანგრძლივი კარიერით, მაგრამ ხშირად ისინი მთავრდებიან დრამატიულად. წმენდების დროს სწორედ პირველი მდივნები გამოდიან: საჯაროდ ბრალდებულნი, ვთხზირად უბოდიშოდ აძევებენ, მაშინ როდესაც მეორე მდივნები, როგორც წესი, შეუმჩნეველად ქრებიან თუ მათი უკმაყოფილო არიან, თუ არა და გადაყავთ სხვა თანამდებობებზე.

ასეთი შემჩნევები მოწმობენ, რომ რესპუბლიკების პარტიების სამდივნო, წარმოადგენს მეტად სათუთ წონასწორობას, რეალურ ხელისუფლებასა და ცენტრალიზებულ კონტროლს შორის, ერთი მხრით, ხელისუფლების წარმომადგენლობასა დახილულ სუვერენობას შორის, მეორე მხრით; ადამიანების და დაწესებულებების კონტროლს აწარმოებს პარტიული აპარატის ვადამწყვეტი ორგანო, მეორე მდივნის თანამდებობა. უკანასკნელი დროის ისტორია გვიჩვენებს: დიდი ხნის განმავლობაში წარმოებული პრაგმატიული და არათანმიმდევრული პოლიტიკის შემდეგ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოიჩინა მთელი ერთი გარკვეული და გასაგები სტრატეგია, რომელიც საშუალებას იძლევა არარუსული რესპუბლიკების ყველა დონეზე, როგორც ადმინისტრაციული, ისე ტექნიკური პოლიტიკური კადრების შერჩევის უკარგო კონტროლისას. კონტროლის წარმოების ერთი საერთო ფორმა და პოლიტიკური წყობილების შედარები შემიძლია იყოს არაინ დამახასიათებელი თვისებები ამჟამად წარმოებული საბჭოთა პოლიტიკისა, ეროვნული შერწყმის დარგში.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში. „ჯარი : ერთი შერწყმის იარაღი?“ )

ელენ კარერ და ანკოსი

რედაქციის შენიშვნა.

ქალბატონ ელენ კარერ და ანკოსის წიგნის „დამსხვრეული იმპერია“-ს მეოთხე თავის გადმოქართულებისას, რომელსაც ნაწილ-ნაწილ ვებეჭდავთ „თ. ტ.“-ის 25 ნომრიდან მოყოლებული, აქამდე ჩვენ სიტყვა-სიტყვით მიეცევიდით წიგნის ფრანგულ ტექსტს. ამ ნომერში მიბეჭდილი მასალიდან, ეკონომიის მიზნით (და აგრეთვე ჩვენი მკითხველების ფსიქოლოგიის მხედველობაში მიღების გამო, რომელსაც ეძენება მშრალი სტატისტიკური ცხრილების და დაწვრილებითი ანალიზების კითხვა), გამოვტოვებთ საერთოდ სტატისტიკური ცხრილები და საბჭ. კავშირში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების შესახებ გამოკვლევები, დაეკმაყოფილდით მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებით, როგორც საქართველო და ვეცადეთ რაც შეიძლება ერთგული გყოფილიყავით დასკვნების არა მარტო შინაარსის, არამედ გამოთქმების და სიტყვების გადმოცემაშიც.

ს ტ ა ლ ი ნ ი ს 100 წ ლ ი ს თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს

21 დეკემბერს 1879 წელს, გორში, დაიბადა იოსებ (სოსო) ჯუღაშვილი-სტალინი. მეჯღანე ბესარიონის ვაჟიშვილს წილად ზედა ზღაპრული ბედი; განვლო რა რევოლუციონერის და პოლიტიკური დევნილის მძიმე გზა, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ის მოექცა ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს მმართველთა შორის, ლენინის სიკვდილის შემდეგ გაანადგურა ყველა მისი ყოფილი თანამებრძოლი, შეიქნა სრული და ერთმმართველი მმართველი საბჭოთა ვეებერთელა იმპერიის და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის.

პიტლერის გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ, ის ბრძანებლობს აღმოსავლეთ ევროპაზეც, ხოლო ჩინეთში კომუნისტების გამარჯვებით, სტალინის ბრძანე-





ბას ემორჩილება მთლიანად ნახევარი მსოფლიოს მოსახლეობა; კრემლის სასახლეში მისი წევრების ხმა აზნაზარებს მსოფლიოს, მსოფლიო პოეტები, მწერლები, მხატვრები თუ მრეწველები ხოტბას ასხამენ, აღმერთებენ, უწოდებენ ბელადს, გენიოსს, მსოფლიო ხალხთა მამას და სხვს და სხვა....

26 წლის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან, ბევრი რამ შეიცვალა; დღეს კაცობრიობამ (განსაკუთრებით თავისუფალმა) იცის ის მსხვერპლი, რომელიც სტალინმა შეიწირა მისი განდიდებისათვის. მისი უშუალო პოლიტიკური მემკვიდრეები დღეს სრულ ლაჩრულ პოლიტიკას აწარმოებენ. მათ ეზინიათ საკუთარ და მსოფლიო საზოგადოებას უფხრან თავიანთი აზრი იმ ისტორიულ პიროვნების შესახებ, რომელმაც მათ საშუალება მისცათ სხედლმწიფო ტახტს მიახლოვდოდნენ. საბჭოთა რეჟიმი, სიჩუმეს არჩევს, მაგრამ დანარჩენი მსოფლიო არ იფიწყებს, პოლიტიკურ მემკვიდრეთაგან დავიწყებულს და ჩვენ მოწმენი ვართ, მისი 100 წლისთავთან დაკავშირებით, სტალინის შესახებ მრავალი საყურადღებო ისტორიული ნარკვევისა.

სტალინის პიროვნება გვავადლებულებს ჩვენც ვთქვათ ჩვენი აზრი დღეს, მისი დაბადების ასი წლის თავზე. ჩვენ არ შეიძლება ვიყენეთ დაუინტერესებელი, რადგანაც ჩვენ თვით მისი მსხვერპლი ვართ. მაინც შევეცდებით ვიმსჯელოთ მშვიდად და მიუკერძოებლად იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული.

### ახალგაზრდობა

ღარიბი ოჯახის შვილი, სოსო ჯულაშვილი, ადრე დაობლდება ლოთი მამისაგან. დედა მაინც ახერხებს შვილის სკოლაში აღზრდას და რადგანაც მღვდლობა მისთვის საოცნებო ხელობაა, თბილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებინებს სწავლას; მაგრამ, სემინარიაში სოსო ჯულაშვილს რევოლუციური აზრები გაუჩნდება, სემინარიიდან გამოაძეგებენ და ისტორიკო კარიერის მაგივრად იწყებს უკიდურეს რევოლუციონერობას. ბუნებრივად, რომ, ის აჯანყებულია გაბატონებულ საზოგადოების წინააღმდეგ. რომანოვების ტახტი ორმაგად საძულველია მისთვის: ეროვნულად, როგორც მკურობელი მისი სამშობლოს, (ეს მხარე შეიძლება ამჟამად არ ჩანდეს, მაგრამ ქვეშევრდულად ის უშეველად ამოძრავებს არა მარტო სტალინს, არამედ ყველა მის თანამებრძოლ ქართველ ახალგაზრდებს; სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ქართველების ისეთი მასიური მონაწილეობა თვითმკურობულობის დასამხობად წარმოებულ ტახტოლაში და ის როლი, რომელიც მათ ითამაშეს ჯერ თებერვლის და შემდეგ ოქტომბრის რევოლუციებში.) სოციალურად, რადგანაც ახალგაზრდა სოსო თავს გრძნობს, სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე და ღრმა სოციალურ რევოლუციის გარეშე არ არსებობს სხვა გზა მალა ასვლისა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ერთი ამბავი. 30-იან წლებში, როცა სტალინმა უკვე მიადწია ერთმმართველობის ზენიტს, მოსკოვში მყოფ ვასტროლებზე მსახიობ თამარა ჭავჭავაძეს, რომელიც მის გვერდით ზის ნაღიმზე კრემლში, ეუბნება: „აი, რა არის რევოლუცია, ეს რომ არა მე, გორელ მეჯღანის შვილს, ვინ მალარსებდა შენს გვერდით ჯღომასო.“

ახალგაზრდა იოსებ ჯულაშვილს, არაფერი არ ჰქონდა სხეებისაგან გამორჩეული, განსაკუთრებით შესანიშნავი. ტანად პატარა იყო და სახე ყვავილბატონებით ჰქონდა დაკეცილი. ის არ ბრწყინავდა არც მქერმეტყველებით, არც დიდი ცოდნით. ეს ინტელექტუალური შუათანობა (საშუალობა,) სტალინის დიდ სამსახურს გაუწევს პარტიულ მოქმეების დამარცხებაში (მაგრამ ამაზე შემდეგ). მას უშეველად ჰქონდა მტკიცე ხასიათი, ნიუშეს გამოთქმა რომ ვიხმართო, მას ახასიათებს ნებისყოფა ძლიერებისა და ბრძანებლობისა. უადრესად ცბიერი ჩანს, თითქმის უნერგო და დაუნდობელი, რაც იშვიათი იარაღია მის პირობებში მყოფ პოლიტიკოსისათვის.

ა. ავტობიოგრაფის, თავის საუცხოო წიგნში „ტენილოვია ვლასტი“, მოაქვს ერთი საინტერესო ამბავი ახალგაზრდა სტალინის შესახებ, რაც კარგად ახასიათებს მომავალი დიქტატორის პოლიტიკურ კარიერას. ერთი ქართველი სოც. დემოკრატი, რომელიც სტალინის საპატიმროში ამთავრებს თავის სიცოცხლეს და რომელიც სემინარიაში ჯულაშვილის თანაცვალს ეყოფილა, ივონებს: „ერთხელ მსოფლიო ისტორიის მასწავლებელმა მოგვცა



დასწერად თემა: „ცეზარის დაღუპვის მიზეზები“, რომელსაც სოსომ ყველაზე უფრო პასუხი გასცა: „ცეზარის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ მას არ ჰქონდა პიროვნული ხელისუფლების აპარატი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა სახელმწიფო აპარატს.“ განმარტებაში სტალინი ამბობდა: „რომის პროვინციების მესვეურები ნაკლებად გრძობდნენ თავიანთ თავზე ცეზარის დამოკლეს ხმაღს, ვიდრე სენატისას, ამიტომ სენატის მეთაურთა ურთიერთ შორის ბრძოლა, დამთავრდა მოწინააღმდეგეთა შერიგებით და კოლეგიალური მმართველობის შენარჩუნებით. ამის გარდა, ცეზარი ეძებდა პირებს, რომლებიც მასთან ერთად გაიყოფდნენ ხელისუფლებას და არა მისი ბრძანებების აღმსრულებლებს, რომლებიც ვალდებული არიან დაემორჩილონ. ამიტომ ის დაიღუპა მისივე მეგობრების ხელით.“

მასწავლებელმა შეეკითხა ჯულაშვილს: „ეგ შენი სქემა არ ჰგავს აბსოლუტურ მონარქიას?“ „არა, უხასხებს ჯულაშვილი, მეღის პირადი ძალაუფლება თავად ეყრდნობა სახელმწიფო ხელისუფლების აპარატს, ხოლო ჩემი სქემის მიხედვით თვით სახელმწიფოს აპარატი დაქვემდებარებულია პიროვნულ ხელისუფლების აპარატს.“

ამ მაგალითის მიხედვით, ა. ავტორხანოვი სამართლიანად შენიშნავს: „თუ იდეა, პარტიის შიგნით საკუთარი, პიროვნული პარტიის შექმნისა ლენინს ეკუთვნოდა („პროვინციონალური რევოლუციონერთა ბირთვი“ და „რა ვაკეთოთ“), სამაგიეროდ მისი ტექნიკა და წესდება გამომუშავებული იყო სტალინის მიერ არა მისი ხელისუფლებაში მოსვლის დროს, არამედ ბევრად უფრო ადრე.“

### სტალინი რევოლუციონერი

1930-იან წლებში, როცა სტალინი საბოლოოდ ანადგურებდა შინა პარტიულ მოწინააღმდეგეებს და ამკვიდრებდა თავის ერთმმართველურ ხელისუფლებას, ბერიაშ დაწერა სოც. დემოკრატიული მოძრაობის ისტორია ამიერკავკასიაში, რომელშიც უპირველესი ადგილი დათმობილი ჰქონდა სტალინს, და მას წარმოადგენდა როგორც მთავარ ორგანიზატორს და თეორეტიკოსსაც. რა თქმა უნდა, ეს იყო უხამსი გაყალბება ისტორიის და ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მოსაზრებით, რომელსაც ის ემსახურებოდა. მაგრამ უდავოა ის ამბავი, რომ ახალგაზრდა სტალინი, სემინარიის კელეპშიდაც მემამოზის მიდრეკილებას იჩენს (უნდა აღინიშნოს: თბილისის სასულიერო სემინარია, ჩანს როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი სანერგე მომავალი რევოლუციონერ-მარქსისტებისა), ხოლო სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ, ის მთლიანად ებმება არალეგალურ რევოლუციონერულ საქმიანობაში. 1902-3 წლებიდან მოყოლებული მას ვხვდავთ ჭიათურის, ბათუმის, თბილისის და ბაქოს მუშებს შორის, სადაც ასრულებს ერთ-ერთ პარტიულ პროპაგანდისტის და ორგანიზატორის როლს. დღიან ლენინის მიერ ბოლშევიკური ფრაქციის შექმნისა უტხოვით, სტალინი ემხრობა მას და ბოლომდე ერთგული რჩება მისი. 1900-იანი წლების განმავლობაში, იოსებ ჯულაშვილის მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვან „ექსპლუს“ წარმოადგენს თბილისში, ერევნის მოედნიდან ხაზინის გატაცება, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა თბილისელი სომეხი კამო. ხოლო სტალინი შორიდან ხელმძღვანელობდა და გატაცებული ფული ლენინს ჩაუტანა შევიცრობის უკლებლად. ცნობილია, რომ ამ ბანდიტობმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც რუსეთის ისე ევროპის სოციალისტურ წრეებში. ერთხანს კიდევაც აპირებდნენ ლენინის და მისი ჯგუფის საჯაროდ დაგმობას და მეორე ინტერნაციონალის რიგებიდან გაძევებას. ლენინმა თავი მოიკატუნა და ბოლოს და ბოლოს აღწოთებულ პარტიული მეგობრების სინდისი დააშოშმინა. ამ ამბის შემდეგ იწყება ახლო ურთიერთობა ლენინსა და სტალინს შორის.

რევოლუციის წინა პერიოდის სტალინის ბიოგრაფიას, კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დამატოს ბაქოში მეფის ოხრანკის აგენტობის ბრალდება, რომელიც მას წაუყენეს მისმა ყოფილმა თანამებრძოლებმა. ეჭვები ამის შესახებ სერიოზულია, მაგრამ ურყევად დამტკიცებული არ არის.

წინააღმდეგ მენშევიკებისა, სტალინი და ბოლშევიკების პარტია მომხრე იყვნენ რუსეთის სამხედრო დამარცხებისა პირველ მსოფლიო ომში. მე პირადათ ეს ლოდიურად





მიმარჩნა.

### ხელისუფლების მწვერვალისაკენ

თებერვლის რევოლუცია სტალინს გადასახლებაში მოუსწრებს. სამშობლოში დაბრუნების მაგივრად, ის იმპერიის დედაქალაქს მიაშურებს სადაც ქუჩაში აგლია რომანოვების გვირაგინი და სკიპატრა. სტიქიურად ყალიბდება მუშათა და გვხნება საბჭოები, რომელშიც თავიდან დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ სოც. რევოლუციონერები და მენშევიკები. ბოლშევიკები, რომელთაც ლენინის უცხოეთიდან დაბრუნებამდე კამენევი მეთაურობდა, იზიარებენ საბჭოს სხვა სოც. პარტიების პოლიტიკურ ანალიზს და მათთან კავშირში მოქმედებენ. თებერვლიდან ოქტომბრის გადატრიალებამდის, სტალინი არ თამაშობს დიდ როლს პეტროგრადის საბჭოებში, მაგრამ თავის პარტიაში მას მყარი მდგომარეობა აქვს უკვე მოპოვებული; ეს იქიდან ჩანს, რომ ბოლშევიკების მე-2 კრილობამ აგვისტოში, ისიც აირჩია ცენტრ. კომიტეტის წევრად, რომელშიც სულ 24 კაცი შედიოდა.


კოალიციური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ხალხის ამხედრებაში, უეჭველად ლენინს პიროვნულად და მის პარტიას შემდეგ დიდი პასუხისმგებლობა მიუძღვით, მაგრამ ბევრი გამოჩენილი ისტორიკოსის და პოლიტოლოგის აზრით, ოქტომბრის რევოლუცია მარტო ბოლშევიკების შეთქმულების გამო არ მომხდარა. ის გამოიწვია თვით დროებითი მთავრობის უმოქმედობამ, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა თებერვლის რევოლუციის გამოწვევი ძირითადი მოთხოვნები: არ მისცა ქვეყანას ზავი, ქალაქს პური და სოფლის გლეხობას მიწა.

კადეტების პარტია უძღური გამოდგა ახალი პოლიტიკა, როგორც საგარეო ისე საშინაო, გაეტარებია ქვეყანაში: დაეკმაყოფილება როგორც ხალხის ძირითადი და ზომიერი მოთხოვნები, ისე რუსეთში მყოფ ხალხების თვითმმართველობისა და თანასწორობის მისწრაფებები. სოც. რევოლუციონერთა და მენშევიკების ლიდერებმა, თავისი თანამშრომლობით და დაქვემდებარებით კონსერვატორებთან, სახელი გაუტეხეს მათ პარტიებს ხალხის თვალში და მათგან პირი აბრუნებინეს. იმედგაცრუებული ხალხის უკმაყოფილება და მღელვარება სტიქიურად დაიწყო მის სიღრმეში. ლენინის გამტკიანობა იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის დროზე აუღო ალღო აგორებულ ზვავის ხმაურს და თავისი ზრახვების სასარგებლოდ გამოიყენა.

სტალინი თავიდან არ იზიარებდა ლენინის დაუყოვნებლივ სოციალისტური რევოლუციის თეორიას. კამენევიან და ბოლშევიკ ლიდერების უმრავლესობასთან ერთად, ისიც ავანტიურად თვლიდა შვიარაღებულ აჯანყებას და მომხრე იყო სხვა სოციალისტურ პარტიებთან ლოიალური თანამშრომლობის, მაგრამ როგორც ცნობილია საბოლოოდ ლენინის დინამიზმა გამარჯვა და სტალინიც იძულებული იყო დამორჩილებოდა.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შექმნილ სახალხო კომისარიატებიდან, სტალინს ერგო ეროვნებათა კომისარიატი. თავიდან მას ბევრი არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, რადგანაც ერები ჩამოშორებული იყვნენ პრაქტიკულად საბჭოთა რუსეთისაგან. სტალინმა რუსებზე და ებრაელებზე ნაკლები შრომა არ გასწია რათა ყველა ეს ერები კვლავ რუსეთის სახელმწიფოში დაებრუნებია. სტალინმა თავისი სამშობლოც არ დაინდო. კიდე მეტი, სტალინის, ოჯრნიკიძის და სხვა მათი ამფსონ ქართველ ბოლშევიკების შეთქმულება რომ არ ყოფილიყო, იქნებ ლენინს ვერც კი გაებედა 1921 წელში საქართველოს დაპყრობა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მართავდნენ. რით იყო გამოწვეული ეს უმავალითი მოქცევა? მოღალატეობით თუ უგუნურობით, რადგანაც გგონათ, რომ საბჭოთა რეჟიმი იდეალურად მოაგვარებდა ერთა თანასწორობის და თანაცხოვრების რთულ და ფაქტი საკითხებს? ამაზე გადაჭრილი პასუხის ვაქება შეუძლებელია. ერთი კია: ვანგებამ თითქოს ყველას, ზოგიერთის გამოკლებით, სტალინის ხელით აზღვევინა ის მათი ღალატი თუ სიბრყივე. ხოლო სტალინს თავად საქართველოს ისტორიამ უნდა აზღვევინოს.

სტალინის ნამდვილი აღზევება ხელისუფლების მწვერვალისაკენ იწყება 1922 წელს, როცა ის აირჩიეს ახლად შექმნილ პარტიის გენერალურ მდივნის თანამდებობაზე. როგორც ზვეით ავღნიშნეთ, სტალინი არ გამოირჩეოდა არც განსაკუთრებულ ორატორული ნიჭით და არც დიდი ერუდციით, რამაც ხელი კიდევაც შეუწყო მის დაწინაურებას. ბოლშევიკების



გამოჩენილი ლიდერები ლენინის ჩათვლით მას არ თვლიდნენ საშიშ მეტოქედ. სტალინი მათ მალე იმედებს გაუტყუებდა. ის ალბათ იმ წუთშივე მიხვდა, რომ ბედმა მას არაბუნებრივად საძლებლობა თავისი ჭაბუკობის დროინდელი პოლიტიკური გეგმის განხორციელებას მას ალბათ განსაკუთრებით კარგად უწყობდა, რომ ან უნდა გაემარჯვნა ან არადა დაიღუპებოდა, რადგანაც საეჭვო არაა: დამარცხების შემთხვევაში, მასაც ის ბედი ელოდა რაც მან დამარბა მის მოწინააღმდეგეებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოქტომბრის გადატრიალებისამდე ბოლშევიკები ფრაქციას წარმოადგენდნენ „რუსეთის სოც. დემოკრატიულ რუსეთის პარტიისას“ და მხოლოდ შემდეგ ჩამოყალიბდებიან როგორც დამოუკიდებელი პარტია. მიუხედავად ამისა ისინი იყვნენ უადრესად ცენტრალიზებული, დისციპლინური, ფანატიკური და სექტანტური. ლენინმა მათ შეუქმნა თეორიული და პრაქტიკული ორგანიზაციული ბაზა. სტალინის კულტის შექმნამდე, ბოლშევიკურ ფრაქციაში და შემდეგ პარტიაში, ადგილი ჰქონდა დემოკრატიული ხასიათის დებატებს. იყო შემთხვევები როცა თვით ლენინიც უმცირესობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე მის მიერ შექმნილ პარტიაში. როცა ლენინი ევროპიდან ბრუნდება 1917 წლის აპრილში და ფინლანდიის ვაგზალზე ჩამოსვლისთანავე გადაისვრის ლოზუნგს: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, ის არამტ თუ არ გამოხატავს რუსეთის საბჭოთა დემოკრატიის განწყობილებას, არამედ თვით საკუთარ პარტიისასაც კი. ბოლშევიკ ლიდერების დიდი უმრავლესობა კამენევის მთავრობით, წინააღმდეგია ლენინის ავანტურისტულ გეგმებს. ისინი მომხრე არიან ყველა სოციალისტურ პარტიებთან თანამშრომლობის, საბჭოების საშუალებით მთავრობაზე ზემოქმედების, ბურჟუაზიული რევოლუციის დაცვისა და გაღრმავების და არა სოციალისტური რევოლუციის დაუყოვნებლივი მოხდენისა. ამრიგად, კამენევის და მისი პოლიტიკური მეთაურების ანალიზი თებერვლის რევოლუციაზე უახლოვდებოდა მენშევიკების და სოც. რევოლუციონერებისას.

ტროცკი და მისი „ინტერნაციონალისტების“ პარტია, ლენინს მიემხრო მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების წინა დღეებში, ის უფრო თანამებრძოლი იყო ლენინის ვიდრე მისი ხელქვეითი. თვით ლენინის პარტიაში ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი და სხვა გამოჩენილი ბოლშევიკები, ლენინის წინააღმდეგ გამოდიოდნენ არა მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების წინ, არამედ შემდეგაც. თვით ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღეებში ლენინს წააწყდა დიდ წინააღმდეგობას მთავრობის შექმნის საკითხში. ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი და ნოვინი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მენშევიკების და სოც. რევოლუციონერების ლიდერებთან, კოალიციური მთავრობის შესადგენად და განზრახული ჰქონდათ ლენინის და ტროცკის გამოორციხვა ამგვარი მთავრობიდან. ასევე, ზავის ჩამოგდების დროს ლენინს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ბუხარინმა, ხლო ტროცკი მერყობდა ლენინისა და ბუხარინის პოზიციებს შორის. ეს შინაპარტიული დავა გაგრძელდა ლენინის სიკვდილამდე და რა გასაკვირია, რომ ის გაგრძელებულიყოს და უფრო გამძაფრებულიყოს რევოლუციის საყვირითაოდ აღიარებული ორგანიზატორის სიკვდილის შემდეგ. ლენინის სიცოცხლეშივე კომპარტიის ლიდერებს აშინებდათ ეს შინაპარტიული ბრძოლა და ორგანიზებული ფრაქციების არსებობა პარტიაში. ლევ ტროცკის ინიციატივით და წინადადებით, პარტიის მე-10 ყრილობა (1921 წელი) მიიღო დადგენილება პარტიაში ფრაქციების აკრძალვის შესახებ.

ამრიგად, სტალინის ხელში აღმოჩნდა ორი მთავარი იარაღი პარტიული მოქმედებების წინააღმდეგ: გენერალური სამდივნო, რომელიც ნამდვილი აღმსრულებელი ორგანო იყო პარტიის, და პარტიული მონოლითიზმის დაცვანება, რასაც სასურველად თვლიდა ყველა ბოლშევიკი ლიდერი. სწორედ ამ მონოლითიზმის სამსხვერპლოზე, საითთაოდ ყველას შეიწირავს, პარტიის კერპად ქცეული ოსებ ბუხარინის ძე სტალინი.

პირველი იარაღის წყალობით, სტალინი თანამიმდევრობით ანახლებს პარტიის აპარატს, როგორც ცენტრში ისე პროვინციებში. ახალს, მის მიერ აღზევებულ პირებს ნიშნავს საპასუხისმგებლო ადგილებზე და მით თანდათან ამაგრებს თავის პირად მდგომარეობას.

მეორე იარაღით კი, ის აიძულებს შინაპარტიულ ოპოზიციას დემოკრატიული უმრავლესობას, მოინანოს შეცდომები და თანდათან სახელი გატეხოს მეგობრების თვალში.

უკვე ლენინის სიცოცხლეშივე, სტალინი თავის დემოკრატიულობას ისე ანტიკებს, რომ შეშინებული ვლადიმირ ილიჩი ტროცკთან შეთქმულებას აწყობს სტალინის გენერალურ მდივნობიდან გადასაყენებლად. გაუგებარ მიზეზის გამო ტროცკმა ეს იშვიათი შემთხვევა, მოძულე მტრის მოსაცილებლად, არ გამოიყენა, რაც ალბათ შემდეგ ბევრი ინანა, მაგრამ გვიანდაც





იყო.

სტალინის მეთოდი მოწინააღმდეგეთა განადგურებისა უბრალოა, მაგრამ საცხად უნდა აღვნიშნავთ, რომელიც ყველაზე საშიში მეტოქეა ლენინის მემკვიდრეობის საქმეში, ის უპირდაპირებს ზინოვიეცს, კამენეცს და ბუხარინს, თავად კი მათ უკან მოქმედებს და თითქოს შემარიგებლის როლშიც გამოდის. შემდეგ ცდილობს ტროცკის შერყეული ავტორიტეტით ზინოვიეცის მზარდი ავტორიტეტის განეიტრალებას; ხოლო ბუხარინის, რიკოვის, ტომსკის და მემარჯვენე კომუნისტების ხელით ის ამარცხებს ტროცკს, ზინოვიეცს, კამენეცს, პრობორაჟენსკის და მათ მიმდევარ მემარცხენეებს; როცა ამ უკანასკნელების საფრთხე საბოლოოდ ამოიკლებულია, სტალინი პირადად ამხედრდება ბუხარინის წინააღმდეგ და სულ ადვილად ამარცხებს მას, რადგანაც ამ დროისთვის მთელი პარტიული აპარატი მის განკარგულებაშია. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, სააშკარაოდ არასოდეს არ ჩანს სტალინის პიროვნული ამბიციები. ბრძოლა მიმდინარეობს პარტიის პოლიტიკის საფარ ქვეშ. პარტიის ყოვლობებზე თუ ცენ. კომიტეტის პლენუმებზე გამართულ პოლიტიკურ კამათებში, სტალინი მუდამ ჩანს უმრავლესობის ე.ი. პარტიის გენერალური ხაზის დამცველად. როცა მემარცხენე ოპოზიციას ამარცხებს ის იცავს ლენინურ ნების მემარჯვენე პოლიტიკას, მაგრამ განადგურებს რა მემარცხენე ოპოზიციას, ის ანხორციელებს მათ პოლიტიკას სოფლის დაქარბული კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციისას და აქაც ის პარტიის გენერალური ხაზის გამტარებლად ჩანს მემარჯვენე ბუხარინ-რიკოვ-ტომსკის წინააღმდეგ.

გამმარჯვა რა საბოლოოდ პარტიის აპარატში, სტალინი არ დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური დამარცხებით, მან დაუნდობლად მოსპო ისინი ფიზიკურადაც, უცხოეთში გადახვეწილ ტროცკს კი მექსიკაში სწვდა მისი მსახერგელი ხელით და დაქირავებული მკვლელის კირკით თავი გაუჩხება. როცა პარტიული მოწინააღმდეგეები მოიცილა, შემდეგ მხედართმთავრებს მიადგა და საბუთიანი თუ უსაბუთო ბრალდებებით, მარშალ ტუხაჩევსკიდან მოყოლებული, ყველა დახვრტია. 1938 წლის ბოლოსთვის, 14 წლის შემდეგ ლენინის გარდაცვალებიდან, მიადწია ხელისუფლების მწვერვალს პიროვნული თვითმმართველობისას და თავისი ავტორიტეტით დაჩრდილა მისივე მასწავლებლის, ბელადის და ოქტომბრის გადატრიალების სტრატეგის ბრწყინვალეობა. ამ დროისათვის, გარდა სახელწოდებისა აღარაფერი არ ჰქონდა კომპარტიას ლენინურისა. მთელი მისი ძველი შემადგენლობა ლენინური გვარდისი, რევოლუციის ვეტერანების, განადგურებული იყო. პარტია იყო სრულიად განსხვავებული, როგორც შემადგენლობით ისე მარწამსითაც. სტალინმა, ლენინის პარტია დაამსხვრია შიგნიდან ისე, რომ გენსეკის თანამდებობა არასოდეს არ მიუტოვებია. მაგრამ ამ გამარჯვების ფასი საშინელება იყო. 1934 წელს არჩეულ ცენ. კომიტეტის წევრებიდან 70% განადგურებული იყო ფიზიკურად ოთხი წლის შემდეგ. 1917 წელს პარტიის მე-6 ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტის 24 წევრიდან, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის უხვლამდგენელი, 1938 წლისთვის მხოლოდ სტალინი დარჩა ცოცხალი. 6 გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით, 2 მტრებმა მოჰკლეს, 11 სტალინმა დაახვრტია, 2 დააპატიმრა, ერთს თავი მოაკვლევინა (იოფე) და ერთიც მოაკვლევინა (ტროცკი). 1939 წლისათვის, მალენკოვის მოხსენების მიხედვით, მე-18 ყრილობაზე: პარტია რომელიც ითვლიდა 1.589.000 წევრს, მხოლოდ 8,3% იყვნენ მიღებული 1920 წლის წინ, მაშასადამე ძველი გვარდია პრაქტიკულად აღარ არსებობდა. 1920-21 წლებში მიღებულიაგან დაიცარა 80% წმენდების დროს. იგივე ბედი ეწვია 75% წევრებისას რომლებიც მოღებულ იქნენ 1921-28 წლებში და 50%-ს იმ წევრებისას რომლებიც პარტიაში შევიდნენ 1929-30 წლებში.

პარტიის შემდეგ, სტალინის ტერორის შედეგად სასტიკად დაზარალდა წითელი არმიაც და განსაკუთრებით მისი უმაღლესი სარდლობა. დაიღუპა: 5-დან 3 მარშალი, 15-დან 13 არმიის სარდლი, 80-დან 57 კორპუსის სარდლი, 190-დან 70 დივიზიის მეთაური, 11 სამხედრო მინისტრის თანაშემწე, 90-დან 75 უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი და სხვა, სულ 35.000 ოფიცერი.

ქ-ნი ელენე კარერი სამართლიანად ასკვნის: „რეპრესიები იყო საყოველთაო, მაგრამ განსაკუთრებით დაზარალდნენ არარუსი ერები. მთელი მათი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა იქნა განადგურებული“.

ქართულმა ხალხმა იცის, რა მიმე მსხვერპლი გაიღო მისი უღირსი შვილის რის-



ხვისგან და ამაზე აქ ლაპარაკი აღარ ღირს.

ჩვენ მდულარე ცრემლებს არ დავღვრიდით სტალინის ტერორს რომ მართლაც მოხდა. ლი და წითელი არმიის ელიტა გაენადგურებინა, მაგრამ მშვიდობიანმა მოსახლეობამ კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი გაიღო და კიდევ უფრო მეტად დიქტანჯა. არავითარი სტატისტიკა არ არსებობს და ამიტომ შეუძლებელია ზუსტ ციფრებში ამ დანაკარგის გამოხატვა. იმათ გარდა, რომლებიც საპატიმროების ჯურღმულებში გაუსამართლებლად დაიხვეტივნენ, 1922 - 33 წლების შიმშილობის მსხვერპლი, კულაკების წინააღმდეგ წარმოებულ რეპრესიების მოტივით, სოფლის საუკეთესო მშრომელების აყრა-გადასახლებაში, ქალაქის და სოფლის ინტელიგენციის ბრმა და მასიური გადასახლებით ციმბირის და შორეულ აღმოსავლეთის შრომის ბანაკებში, შიმშილით, სიცივით, არასანიტარული პირობებით, უქვეყლად დაიხოცა არანაკლებ 15-20 მილიონი ადამიანი, უმთავრესად ახალგაზრდობა, რამაც მთელი თაობით შეაფარტა როგორც ხალხის გამრავლება, ისე დოვლათის შექმნა და დაგროვება. მოსახლეობის კატასტროფული შემცირება, ცბიერმა საბჭოთა ხელისუფლებამ, პიტლერის გერმანიასთან წარმოებულ ომს გადააბრალა და გაბერილი მოთხოვნები წაუყენა მოკავშირეებს ომის დამთავრებისას, საბჭოთა ხალხების მიერ ვალდებულ ზარალის ასანაზღაურებლად. მეორე მსოფლიო ომში დიხხაც ბევრი დაიხოცა, მაგრამ სტალინმა ომში დახოცილებს მის ციხეებში დახოცილებიც მიათვალა.

### ომის წლებში

გერმანიის მიერ ომის დაწყების პირველ დღეებში ცხადად გამოჟღერდა სტალინის მნდალი ხასიათი. უდავოა, რომ ის პანიკამ მოიცვა. მან ყველაზე კარგად იცოდა, რომ საბჭოთა რეჟიმი, რომლის უზენაესი გამოხატველიც ის იყო, მძულვარებით იყო გარემოცული და მხოლოდ შიშით არსებობდა. მას სამართლიანად აშინებდა, რომ ბრძოლის ველზე პირველ დამარცხებისთანავე, ხალხის შიში მრისხანებლად გადაიქცეოდა და მას და მის რეჟიმს წალკევდა. ეს არ მოხდა. თუ რატომ, ეს დიდი ანალიზის და გამოკვლევის საკითხია, რომელიც ჯერ დამაკმაყოფილებლად არავის არ უწარმოებია და ამ მოკლე წერილში მეც ვერ გავეადნეიდები მის ახსნას. ფაქტი კი ის არის, რომ საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა სტალინის მეთაურობით და გამარჯვების ნაყოფიც უხვად, შეიძლება ითქვას გადაჭარბებული სიუხვითაც მოიპოო როგორც საბჭოთა რუსეთმა ისევე სტალინმა პირადად, რადგანაც მისი პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული ნიჭი, ცამდე იქნა აყვანილი ომის შემდეგ. უდავოა: საბჭოების მიერ ომის მოგებაში დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ინგლის-ამერიკის ყოველმხრივმა დახმარებამ, რუსეთის „დიადი მოროზმა“, ლავრენტი ბერიას „ენკავედეს“ სპეციალურმა ჯარებმა და ბოლოს, თვით გერმანიის ჯარების მთავარსარდლობის საბედისწერო შეცდომამ, რომელმაც „ბლიცკრიგით“ მოინდომა საბჭოთა კავშირის უკიდვანხო ტერიტორიის და უმჯაცრესი კლიმატის დამორჩილება. 1941 წელს დაპყრობილ უზარმაზარ ტერიტორიის და მრავალ ათეულ მილიონიან მოსახლეობის დაცვის და პოზიციურ, ხანგრძლივი ომის წარმოების მაგივრად, ქ. სტალინგრადის აღებას შესწირა საუკეთესო არმიები, უმჯაცრეს ზამთრის პირობებში.

მიუხედავად ყველა ამ ხელშემწყობ პირობებისა, ომის ისტორიამ არ იცის ჯარისკაცების მასიურად ტყვედ ჩაგარდნის სხვა ასეთი შემთხვევა. კიდევ მეტი და გაუგონარი: მტრის, გერმანიის ჯარში მოხალისედ შევიდა მილიონ ნახევარი ყოფილი წითელარმიელი. ომის დამთავრების შემდეგ, სტალინი ტყუილად ასხამდა ხოტბას რუსის ხალხს, რომელმაც ვითომ ვულთი დაიცვა საბჭოთა სამშობლო. ვლასოვის არმია ერთი მილიონიანი რუსის ჯარისკაცები, ამ სიტუაციის უარყოფილი ისტორიის წინაშე.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა სახელმწიფომ ღვიძარჯვა და ათეულ მილიონ ცხედრებზე სტალინმა მარშლის ჩინი და მთავარსარდლის პოსტი გაიკრა ისე, რომ ერთხელაც ფრინტს არ სწევდია და არც რომელიმე ბრძოლისთვის უსარდლია.

უნდა სიმართლე ითქვას; სტალინმა ომის წლებში მართლაც გამოიჩინა დიდი პო-



ლიტიკური და დიპლომატიური ნიჭი. მან ისე მოხიზლა მძლავრი ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი, რომ სტალინს „ონკლ ეოს“ უძახოდა. ამავე დროს, მოკავშირე ამერიკის დამინგლის მთავრობები თავისი ჯაშუშებით ისე გარემოიცვა, რომ მათი ასაველ-დასავალ ყველაფერი პირველმა იცოდა. ჯაშუშთა ეს ქსელი დიხანს, ომის შემდეგაც დაუსჯელად მოქმედებდა და დაუფასებელი სამსახური გაუწვია საბჭოთა სახელმწიფოს გაფართოვებას და გაძლიერებას.

**1950-**იან წლების დასაწყისში, ჩინეთის გაკომუნისტების შემდეგ სტალინს თამამად შეეძლო ეთქვა, რომ კაცობრიობის ნახევარზე მეტი ქედს იხრიდა მისი ბრძანების წინაშე და შორს აღარ იყო დრო, როცა მთელი კაცობრიობა ფეხშეწყობილი ბატებივით ივლიდა მისი ბრძანების მიხედვით.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, მარტოობაში და უმწეობაში დალია მან სული, **1953** წლის გაზაფხულზე. მისმა ხელქვეითებმა, პოლიტბიუროდან, როცა მისი უმოძრაო სხეული მიწაზე დაგდებული დაინახეს ამაზრზენი ველური სიხარული ველარ დამალეს. ეს ამბავი თვალწინ უნდა ედგას ყველა განდიდების მოტრფიალე ადამიანს. ადამიანის ბოლო მიანიც სიკვდილია და არარაობა, რაგინდ დიდი არ იყოს იგი ადამიანური მასშტაბით.

მიუხედავად საბჭოთა რუსეთის დღევანდელი მდუმარებისა, სტალინის პიროვნებასთან იმდენი ისტორიული ამბებია დაკავშირებული, რომ იმაზე ლაპარაკი არამც თუ დღეს, მისი დაბადების ასი წლისთავზე, არამედ ათასეულ წლების განმავლობაშიც არ შეწყდება. ინტერესი მისი პიროვნების მიმართ, ნაპოლენ ბონაპარტის მსგავსად, შეიძლება მომავალში კიდევ უფრო გაცხოველდეს, რადგანაც ხანი აშუშებს გულის კრილობებს და ბოლოს რჩება მხოლოდ კოფელ სახელმწიფო კაცის საფლავზე გაზრდილი ნერვი კეთილი ან ნარ-ეგალი. უდავოა, ზოგი მას მოიხსენიებს ქება-დიდებათ, ზოგიც კიდევ წყველა-კრულვით, და არ მგონია მასზე როდესმე ერთი და იგივე აზრმა იარსებოს.

როგორია ჩემი, როგორც ქართველის შეხედულება? სტალინს რომ საქართველოში ეხელმწიფა და მისი სიკვდილის შემდეგ გაძლიერებული ქართული სახელმწიფო დაეტოვებია, მაშინ შესაძლებელია მისთვის შემენდო ყველა ის ბოროტება რაც მან ჩაიდინა. მან პირიქით, ჩვენს მპყრობელ რუსეთში დიდგა ტახტი და მას დაუმორჩილა სამშობლო; პირადი განდიდების მიზნით, მან არ დაინდო და მუსარი გაავლო მშობელი ერის საუკეთესო შვილებს, ამიტომ ჩემთვის ორი აზრი არ არსებობს მის შესახებ: ის ჩემთვის წარმოადგენს ბოროტების განსახიერებას, რომლის მაგალითს ქართველმა მამულეშვილმა არამც და არამც არ უნდა მიბადოს.

გიორგი წერეთელი

ს ა ნ ა ხ ი და ნ ა ა ზ რ ე ბ ი  
ისევ 14 აპრილის გამო

ეკროპულ პრესაში, ალბათ ყველაზე საყურადღებო შეფასება თბილისში სტუდენტების გამოსვლის შესახებ, ეკუთვნის ორ საგაზეთო წერილს. ავტორები არიან „მანჩესტერ გარდიან“-ის განთქმული კორესპონდენტი ვიქტორ ზორზა(იხ. თ.ტ. №22) და „ლე მონდის“ არა ნაკლებ ცნობილი ჟურნალისტი, ბენარ ბრიგულეს(იხ. თ.ტ. №24). ვიქტორ ზორზას მკაფიო დასკვნით, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკების ადგილობრივად არსებული ბუნებრივი ენების დაცვა, ემუქრება თვით კრემლის რეჟიმსო. ამ დებულების კრიტიკაში ზოგი რამ ანგარიშგასაწევია.

ზოგი თეორეტიკოსის აზრით, სტუდენტობის გამოსვლას არასდროს ჰქონია დიდი პოლიტური შედეგო; პარიზის 1968 წლის ამბავი, დაწყებული სტუდენტების მიერ, ჩაქრებოდა მსგავსად სხვა, ბულმიშის მონომების“ მაგრამ მუშების და საზოგადოების სხვა ფენაც შეუერთდა ახალგაზრდობასო.

ზოგი ისტორიკოსის აზრით, საბჭოთა პირობებში თუ სტუდენტობამ სწავლის დროს



გაზედა პროტესტი და დამონსტრაცია, — სწავლის დამთავრებისას, როცა დადგება დრო კარიერის ამორჩევის, ოჯახის შექმნის, — ცხოვრებაში მოწყობის, მაშინ ნასწავლი ანუ მასწავლებლებს, იძულებული გახდება დაემორჩილოს არსებულ პოლიტიურ დიქტატურის რეჟიმს.

საბჭოთა კავშირის რეაქცია ვიქტორ ზორზას წერილზე, ჩატარდა სიყალბეზე აგებული ამპარტავნობის შესაფერისად. ლონდონში იქნა გაგზავნილი საქართველოს (ინგლისური თარგმანიტ ქართული) პეტრი, ვიტალი კოროტიჩი დავალებით, შეხვედრა ქალბატონ ჰელა პიკს, საბჭოთა ვითარების ცნობილ მეთვალყურეს, რომელიც სათავეში უდგას “მანჩესტერ გარდიანს” აღმოსავლეთის განყოფილებას. “ანგარიში” ამ შეხვედრის მოთავსდა “ლიტერატურანია გაზეტას” 1978 წლის 31 მაისის ნომერში. კოროტიჩის უზრდელი წერილის მიზანია, სახელი გაუტეხოს ჰელა პიკს და აბუჩად აივდოს “მ. გარდიანი”. “ქართული პოეტის” აზრით, ჰელა პიკი არის “არანრომალურად გაღიზიანებული ქალ” და “მ. გარდიანი” წარმოადგენს, ინგლისში უკვე დრომოქმედი დიბერალური პარტიის აზროვნებას.

ამაზე ჰელა პიკმა საკადრისი პასუხი გასცა თავის წერილში, “დაწყნარებული შებასება ბ. ვიტალი კოროტიჩთან” (“მ. გარდიან,” 30 ივლისი 1978 წ.).

14 აპრილის თვალსაზრისით, კოროტიჩის ნათქვამი არის სიტყვის ბანზე ადგება. საქართველო ანუ მისი ამბავი სრულებით არ არის ნახსენები და ლანძღვა—უზრდლობის გარდა, ჩვენ საქმე გვაქვს საბჭოთა კავშირის კლასიკურ პროპაგანდასთან.

“მ. გარდიანმა”, რასაკვირველია განავრძო თავისი ხაზი და 11 თებერვალს 1978 წ. გამოაქვეყნა ბერნარ ბრიგულექსის წერილის ინგლისური თარგმანი, განსაკუთრებული მითითებით მის მნიშვნელობაზე და აგრეთვე დაბეჭდა იაკობ ამალრიკის შეფასება ელენე კარერ დაწკოსის წიგნის (იხ. თ. ტ. № 25).

წერიტებულე შტატებში “რანდ კორპორაციაში”, მნიშვნელოვანმა წევრმა ამერიკის კაპიტალისტური სისტემის, დაავალა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორს იერემია აზრალეს, შეისწავლოს “ეროვნებების ამოცანები რომელიც იჩენს თავს საბჭოთა კავშირში”. ი. აზრალემა გასცა პასუხი 33 გვერდიან წიგნაკად (რანდ კორპორაციის გამოცემა, 1978 წ.). მისი აზრით, ეთნიური სხვადასხვაობა საბჭოთა კავშირში, მართლაც ქმნის მნიშვნელოვან და ძნელ პრობლემებს კრემლისათვის. საწინააღმდეგოთ ვიქტორ ზორზას აზრის, ის თავიდან აცხადებს: ეს პრობლემები მიანიც უშუალოდ არ ემუქრება საბჭოთა სისტემასო. ვ. ზორზას, საბჭოთა მოსახლეობა, აქვს გაყოფილი რუს და არარუს შემადგენლობად. ი. აზრალეი კი ყოფს მოსახლეობას “ევროპულ” და “არაევროპულ” (ნახმარია ფრჩხილებში) ნაწილებად. “ევროპული” ნაწილი შესდგება ბალტიურ და სლავურ ერებისაგან, რომელთა მოვლა და რუსიფიკაცია კრემლისათვის ღიდ სიძნელეს არ წარმოადგენსო; “არა ევროპული” ნაწილი შესდგება, კავკასიის და ცენტრალური აზიის ერებისაგან (ქართველი და სომეხი არ არის ნახსენები).

“არა ევროპული” მოსახლეობის გარუსება ადვილად არ ვითარდება; ეს ერები თითქოს ორგანულად ვერ ითვისებენ რუსულ ენასო.

მთავარი დაბრკოლება საბჭოთა კავშირის მართვა—გამგეობის, არის დემოგრაფიული ზრდა ამ ორი ჯგუფის. “ევროპულების” დემოგრაფიული ზრდის კოეფიციენტი არის 1,3, “არა ევროპულების” კი იყო 12—1959 წელს, 17—1977 წელს, და ისევ იზრდებაო. ამ საუკუნის ბოლოში, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მეთხუთედი და 40% მისი ახალგაზრდობის, შესდგება აზიური ერებისაგანო.

ეს დემოგრაფიული თავისებურება, ქმნის ძალიან რთულ და ძნელ პრობლემებს, უმთავრესად მუშა ხელის დარგში და ჯარის შემადგენლობაში. რა რიგად კრემლი მოუტეღის ამ პრობლემებს ჯერ ჯერობით სრულებით არა ჩანსო.

ავტორის აზრით, ეს ამოცანა უთუთოდ დასაუსტეტებს საბჭოთა კავშირის მდგომარეობას საგარეო პოლიტიკის დარგში და საშინაო პოლიტიკაში კი კრემლი ალბათ მიიღებს უკიდურეს და უსასტიკეს ზომებს ეროვნული უფლებათა წინააღმდეგო.

ი. აზრალის წიგნაკმა მოახდინა საკმაოდ ღიდი გავლენა შეერთებულ შტატებში.

იაკობ ამალრიკის წერილიც თითქოს განიციდის ი. აზრალის გავლენას, თუნდაც მოყვანილ სტატისტიკაში, ტერმინოლოგიის დარგში ი. ამალრიკი ალბად უფრო მართალია, როცა “აზიური ერების” მაგივრად ლაპარაკობს “მუსულმანურ” მოსახლეობაზე. მისი აზრით, მუსულმანთა რიცხვი საბჭოთა კავშირში 1970 წელს იყო 50 მილიონი,—დღეს უახლოდება 85 მილიონს და საუკუნის ბოლოში მიაღწევს ას მილიონსო. მიუხედავად ამისა ი. ამალრიკი,





ი. აზრალისავეთ ფიქრობს: კრემლი მაინც მონახავს გზას ეთნიურ დაბრკოლებიდან, როცა ელენე კარერ დ'ანკოს ამაში ეჭვი ეპარება.

ზოგადად მოყვანილი სხვა და სხვა დებულება, სტატისტიკა და "წინასწარმეტყველება", პოლიტიკური თვალსაზრისით შესაძლოა საყურადღებო იყოს, მაგრამ ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ბერნარ ბრიგულექსის წერილის ინგლისური სათაური: "ეროვნული შეგნება იზრდება საქართველოში".

თუ ქართველმა შეგნებულად მიონდომა თავდაცვა და უკუთავდაცვა, მაშინ ქართული პოლიტიკის შესაფერისად წარმოება შეიძლება ყველა პირობებში და ქართველს აქვს ამისათვის საკმარისი გამოცდილება და უნარი. ყველა ნიშანი "ქართული მიწის გაცოცხლების", ჩვენთვის ძვირფასზე ძვირფასია.

ცოტა ხნის უკან ფოსტით მივიღე ორი ლექსი შეთხზული საქართველოში. მერე ვნახე ეს ლექსები დაბეჭდილი "ჩვენ დროშაში (№92)". ერთი მათგანი განსაკუთრებით მიძღვნილია 14 აპრილს: "გაცოცხლდა მიწა ქართული მათგან ფეხდანაბიჯები"-ო. დაბეჭდილ ლექსში გაშვებულია ორი ტაეპი, რომელიც უთუოდ ახასიათებს ახალგაზრდობის სულისკვეთებას და ამიტომ მომაქვს:

“აპრილის დილას მოჰქონდა  
სუნთქვა ამაყი მთებისა”-ო

ლექსის ბოლოში ნათქვამია: "გადაგვარჩინა ღმერთმა" ო, -რაც რასაკვირველია გვაგონებს სისხლიან ამბავს რომელიც მოხდა დღევანდელი სტუდენტების მამების დროს, 1956 წლის მარტში. მაშინ ტანკებმა ესროლეს დემონსტრანტებს. ბევრი სისხლი დაიღვარა; ბევრი დედა ატირდა; მწარე ფიჭვი დაიბადა და გრძნობიერი ლექსიც დაიწერა. ერთი მათგანი მატრემლებს ხოლმე გადაკითხვის დროს, ის არის მიძღვნილი ყმაწვილს, მოკლულს თბილისის გასისხლიანებულ ქუჩაზე.

“გული სურვილებს კარგავს  
ჩემი თბილისის ბედზე;  
არ ხარ თბილისში, მაგრამ  
მაინც თბილისში გექმებ:

იქნებ შემომხვდეს სადმე  
შენი თვალების ელვა,  
სადაც რომ გინთებს სანთელს-  
-ეს მეოცნებე მე ვარ.

ვკოცნი ხატებას მაგრად  
ჩემი თბილისის ბედზე,  
არ ხარ თბილისში, მაგრამ  
მაინც თბილისში გექმებ.”

ქართველმა, როგორც სხვა ღირსეულმა ერმა იცოდა "ხვარაზმულობა" და "ჭირსა შიგნით გამაგრება," იცოდა სისხლის დაღვრაც, თორემ არ დაიწერებოდა მისი ისტორია. წუწუნის არ არის ქართველის თვისება.

ბრძოლაში უსამართლობის და ძალადობის წინააღმდეგ, ქართველმა ოხუნჯობაც იცოდა. მაგონდება ერთი:

თბილისის გზაზე დგას ვირი და ხედავს კურდღელი გიჟურად მორბის. ვირმა მაინც გააჩერა იგი და ეკითხება: "რად რბიხარ ასე სწრაფად?" კურდღელმა მიუგო: "ბაღდადიდან მოვიდვარ, ბაღდადიდან,-იქ გამოვიდა კანონი ყველა აქლემს ჰკოდავენ"- კარგი, სთქვა ვირმა, და შენ რა... "აბა", დაუყვირა კურდღელმა, "წადი და დაუმტკიცე მათ აქლემი არ ხარ".-

გიორგი ჯაყელი

გიორგი(გოგლიკა) ვაჩნაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ: გადაწყვეტილი გვაქვს ლევილის სასაფლაოზე მემორიალი ავუგოთ მეორე მსოფლიო ომში დახოცილ ქართველებს. გთხოვთ ნუ გამოიჩენთ გულმავიწყობას და შეძლებისდა მიხედვით ყველამ მიიღეთ მონაწილეობა ამ საქმეში.

## ო რ ი დ ი თ ა რ ი ლ ს შ ე ს ა ხ ე ბ

## 1. პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის 350 წლისთავი

გუტენბერგის სტამბით დაბეჭდილი ქართული წიგნების გამოცემა პირველად ჩვენი სამშობლოს გარედ, რომში დაწყებულია, ვატიკანის კათოლიკურ სარწმუნოების გამაგრებულ ბელ საზოგადოების "პროპაგანდა ფიდეს" მიერ, 1629 წლის 1 აგვისტოს. პირველად ბეჭდილ ქართულ ტექსტებიდან ცნობილია ორი წიგნი: „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, რომლებიც შესრულებულია ლამაზი მხედრული შრიფტით.

ადრინდელი ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, რომში ქართული წიგნების გამოცემის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიუღია ქართლ-კახეთის ელჩონის დასავლეთ ევროპაში, რომელსაც მეთაურობდა ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. მიხეილ თამარაშვილმა პირველმა აღნიშნა, რომ მეფე თეიმურაზის ელჩი, იტალიურ წყაროებში მოხსენებულია ნიკიფორე ირუბაქი. საქ. მეცნიერებათა აკადემიამ, 1977 წელს ვატიკანში მიაგნო მეცნიერ მუშაებში, რომლებმაც მნიშვნელოვან წერილობით საბუთებს მიაკვლიეს. ისინი ადასტურებენ, რომ ქართული წიგნების ბეჭდვის დაწყების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა ნიკიფორე ირუბაქმა, იტალიელმა აქილიო ვენეროსმა, რომელიც განაგებდა „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბას და რომლის ბინაზეც ის იმყოფებოდა, და იტალიელი სტეფანო პაოლინიმ, რომელიც იყო პასუხისმგებელი მბეჭდავი. ხოლო საუცხოო შრიფტი შეუქმნია გერმანელს, რომლის ვინაობა ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის.

ცნობილია: ქართული წიგნების ბეჭდვა სამშობლოში მხოლოდ სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგ გაიხარცა. ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა სასულიერო და საერო ხასიათის წიგნები.

რომში დაწყებულმა ქართული წიგნების ბეჭდვამ, დიდი კულტურული როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ (1453 წ.), ქართველმა ხალხმა პირველად შეძლო მუსულმანური გარემოცვის გარღვევა და ხელახლად დაეწაფა დასავლეთ ევროპის კულტურას. 1629 წელი, მნიშვნელოვანი ნიშანს ეტია ქართველ ერის კულტურის ისტორიაში.


## 2. ჰიათურის 100 წლისთავის

ა/წ ნოემბერში, ჰიათურამ იღვესასწაულა თავისი არსებობის 100 წლისთავი. ამ იუბილემ დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მთელ საბჭოთა სახელმწიფოშიც და ლ. ბრეჟნევიმ წითელი დროშის ორდენით უწყალობა მას. ეს ადვილად გასაგებია, რადგანაც ჰიათურა მანგანუმის მსოფლიოში განთქმული საბადოების ქალაქია. მანგანუმი კი აუცილებელი შენაერთია იზვიათი ღირსების რკინის დასამზადებლად, რომელიც ასე სჭირდება საბჭოთა კავშირის ფერო-ინდუსტრიას.

ჰიათურის მიდამოებში ახლად აღმოჩენილ არქეოლოგიურ გათხრებიდან დასტურდება, რომ აქ უხსოვარ დროში წარმოებდა რკინის ადგილობრივი დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია ძველი ქართული ტომის - ხალიბების - ცივილიზაციასთან; ხალიბებისა, რომლებიც ცნობილი არიან კაცობრიობის ისტორიაში, როგორც რკინის პირველი დამამუშავებლები.

მიუხედავად ამისა ჰიათურის ადგილას მოსახლეობა არ არსებობდა, როცა პირველად ამ 100 წლის წინად ჩვენმა დიდმა მგოსანმა, აკაკი წერეთელმა უ. კაპანაძესთან ერთად დაიწყო შავი ქვის საბადოების მრეწველობა. აკაკი წერეთელს, რა თქმა უნდა, მრეწველის ხასიათი და ბუნება არ ჰქონდა და მალე იძულებული გახდა თავისი წამოწყება მიეტოვებია, მაგრამ სხვებმა ვააგრძელეს მისი წამოწყებული საქმე და როგორც მარგანეცის ამოღების, ისე ჰიათურის მოსახლეობის რიცხვი სწრაფად გაიზარდა, და ამ საუკუნის დამდეგისათვის, ჰიათურა იქცა ჩვენი სამშობლოს ერთ მნიშვნელოვან ეკონომიურ და კულტურულ კერად. 1917 წელს ჰიათურა გამოცხადდა ქალაქად, ხოლო დღეს იქ ცხოვრობს 126 ათასი სული. ჰიათურა მუდამ გამოირჩევა შესანიშნავი ინტელიგენციით, სკოლებით, კულ-





ტურული დაწესებულებებით, თეატრით, სანიტარული და სამედიცინო მომსახურებით და გასაკვირი არ არის თუ ის ამ მხრივ კიდევ უფრო წინ წასულია. დღეს გაზეტი „სამშობლო“ იდილიურ ფერებში გვიხატავს ქიათურის მოსახლეობის ეკონომიურ და საბინაო ყოფას. თითქოს 3-4 თთახზე ნაკლები ბინა აღარავის ჰქონდეს, მუშა საშუალოდ 350-400 მანეთი ღებულობდეს თვეში და სხვა და სხვა სიკეთე რაც საბჭოთა წყობილებას მოუტანია ქიათურელებისათვის. ნეტავ მართლაც ჰქონდელი ქიათურელებს კარგი მატერიალური ცხოვრების პირობები, ყველას ჰქონდეს ვრცელი და საკირო დამამბით კარგად მოწყობილი ბინები, სხვა რომ არა იყოსრა იქ ცხოვრობენ ჩვენი უახლოესი და საყვარელი ადამიანები, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ არის. ქიათურის სიმდიდრის, მანგანუმის, უშუალო ექსპლოატაციას აწარმოებს მოსკოვი. საქართველოს და ქიათურას არ ეკითხება არაფერი გარდა ცენტრში შემუშავებული გეგმის შესრულებისა. მოსკოვი კი მონური შრომის ასანაზღაურებლად გროშებს უღანებს ქიათურელ მემბლაროელებს, სწორედ ამდენს, შიმშილით რომ არ დაიხონ და შეიძლონ შემდეგი მუშაობა.

ქიათურელები სულ ფუფუნებაშიც რომ ცხოვრობდნენ, ვერ და არ დავიწყებენ 1924 წლის აგვისტოს დღეებს, როცა ქიათურის მშრომელებმა და ახალგაზრდობამ დაამხო რაიონის საბჭოთა ხელისუფლება და 24 საათის განმავლობაში ძალაუფლება მათ ხელში იყო. შემდეგ დაამარცხდნენ მხოლოდ წითელი არმიის და ჩეკის ჯარების წინაშე, უიარაღობით და უტყვია — წამლობით. ქიათურელებს როგორ დაავიწყდებათ თუ როგორ მხიკურად გაუსწორდა საბჭოთა ხელისუფლება მათ შვილებს, ძმებსა და დებს ბრალიანი და უბრალო ხალხით რომ გაავსეს რეინგზის რონოდები, ზესტაფონში ჩაიყვანეს, ჩინში ჩააყენეს და იქ დაპლობილ ვაგონებში უმოწყალოდ რომ ამოხოცეს. აი, ასეთი იყო „სიკეთე“, რომელიც ქიათურელებს მოუტანა საბჭოთა რევიმმა და რაც არ უნდა ჩლუნგი არ იყოს ადამიანის მახსოვრობა, მაინც შეუძლებელია ასეთი ამბის დავიწყება და პატიება.

### გრიგოლ წერეთელი

#### ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო (გაგრძელება მესამე გვერდიდან)

დასავგობია არა მხოლოდ ადამიანური მორალის და საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპებით, არამედ კიდევ უფრო მეტად იმისთვის, რომ თავის მაკიაველურ ჩანაფიქრით ის ემუქრება მსოფლიოს ისედაც არამყარ მშვიდობას.

ვისთვისაა ხელსაყრელი ეს ავანტიურა? ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ეს დამღუპველი ირანელ ხალხისთვის და საზარალო ამერიკისა და მთელი დასავლეთის სამყაროსთვის. სამაგიეროდ, დღევანდელ პირობებში ის წყალს ასხამს კრემლის წისქვილზე. საბჭოთა მთავრობას მთავრობას ეს საშუალებას აძლევს ავღანეთში განამტკიცოს კომუნისტური რევიმი, კიდევ უფრო აწეწოს ახლო აღმოსავლეთის საქმეები, ირანის აქამდე ნეიტრალური რევოლუტია „ამერიკის იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით თავის ბანაკში ჩაითროს. ამ თვალთახედვიდან გამომდინარე მხოლოდ ირანის კომუნისტური პარტია, ტუდები, შეიძლება იყოს ამ ავანტიურის ჩამწყობი და გამჩადებელი. თუმცა მისი გავლენა მუსულმანურ ირანში სუსტი ჩანს, მოსაზღვრე საბჭოების დახმარებით ტუდებს შეუძლია მრისხნავ ძალად გადაიტყოს. ამის მავალითად ავღანეთიც გამოდგება.

ამერიკის მთავრობა დღემდე დიდ თავშეკავებულებას და ზომიერებას იჩენს. მაგრამ როდემდე? დიდ ხანს უმოქმედობაე საზარალო ამერიკის საერთაშორისო პრესტიჟისთვის. თუ მძევლების სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა ამერიკელი ხალხის სამართლიან რისხვის შეკავებაე შეუძლებელი გახდება და როცა ეს სტრატეგები იწერება ყველაფერია მოსალოდნელი: როგორც მშვიდობიანი დასასრული ისე საბედისწერო მარცხიც.

ამიერკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა გვიკარნახებს, როცა სხვა არაფერი შეგვიძლია, ვილოცოთ მაინც, რომ მას ამ მხარეში საერთაშორისო ომის ხანძარი არ მოყვეს და ჩვენი სამშობლო, მის უნებურად, ბრძოლის ველად არ გადაიქცეს.

მწიწნავე

„ ძ ე გ ლ ი ც ო ც ხ ა ლ ი წ ი ნ ა პ ა რ ი ა “  
„თავგადასავალი ერის საუნჯისა“

ამ სათაურით გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტის“ 6, 7, 8, 9 და 12 ივლისის ნომრებში მწერლისა და ისტორიკოსის პროფესორ ლევან სანიკიძის ვრცელი ისტორიული ნარკვევი. „თ.ბ.“-ის მკითხველსაიავის არ იქნება ინტერესს მოკლებული მოკლედ შეეხებთ ამ საინტერესო ნაშრომს.

ავტორი მეცნიერულად აღწერს ერის მრავალტანჯულ ისტორიას და ამ ისტორიის უტყუარ მოწვევების, ქართულ კულტურის ძეგლთა მდგომარეობას. პროფ. ლ. სანიკიძე დიდი გულსიტკვილით აღწერს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც ეს ძეგლები დღეს არიან და ამავე დროს კი აღნიშნავს „მშობლიურ პარტიის ზრუნვას“. იქვე ის სამართლიანად ბრძანებს: საბჭ. ხელისუფლების ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოცემულია ოცდაათამდე დიდმნიშვნელოვანი „დეკრეტი“, „კანონი“, „დადგენილება“ და მთვანე გამომდინარე უამრავი „მიწერილობა“. შესრულებულიაო, — განაცრძობს ავტორი, გრანდიოზული სამუშაოანი ქართული კულტურის ძეგლთა მიკვლევის, ადვისი და გადაარჩინის საოცნებო საქმიანობისაო. „ ამ ისტორიის აბათილებს მის მიერ იქვე აღნიშნული: „მაგრამ გულში უქმად დაკრძალვას ისევე გულახდილობა ვამჯობინოთ და ვთქვათ პირდაპირ: მიუხედავად ამ დიდი სამამულოშიგელო საქმეების გასრულებისა, ქაღალდზე ლამაზად და „მძლავრად“ დატანილი „დეკრეტი“ თუ „დადგენილება“ ხშირად დავიწყების მათუღქმეშ აღმოჩნდებოდა და საქმიან, პრაქტიკულ განხორციელებას ვეღარ პოულობდა...“.

როცა კითხულობ პროფ. ლ. სანიკიძის ამ ნარკვევს გული გიკვდება ადამიანს. ქართული კულტურის ძეგლების ასეთი უნუგეშო მდგომარეობა გულს ატყვის არა მარტო ქართველს, არამედ ყველას, ვისაც გულით და სულით უყვარს ადამიანის გონებისა და ხელის მიერ შექმნილი საუნჯე. ხსენებული ნარკვევის გამოქვეყნებით ლ. სანიკიძემ დიდი მამულიშვილური საქმე გააკეთა, მაგრამ: „რალა იგი სინათლე, რასაც თან ახლავს ბნელია“. ლ. სანიკიძე წერს: 1918 წელს მენშევიკური ხელისუფლება ჩააფრინდა საქართველოს ნაწამებ კისერს... 1921 წელს ლაჩართა და გულჩუქენთა მთავრობა საქართველოდან გაიქცა და ფრანგთა ქვეყანაში გადაიხვეწა, გაიქცა და გაიტაცა ქართული ეროვნული განძეულობა“. სამწუხაროა, რომ მეცნიერიც ვერ აცდა ჩვეულებრივ საბჭოთა უნიჭო პროპაგანდისტულ სტილს. ამით ის ამ მშვენიერ ნაწარმოებს უკარგავს სერიოზულ ხასიათს.

ალბათ პატივცემულმა პროფესორმა ჩვენზე ნაკლებად არ იცის, რომ 1918 წლის მაისის 26-ს საქართველომ განაახლა თავისი სუვერენობა, ის კვლავ ვახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, შევიდა დამოუკიდებელ ერთა შემადგენლობაში, აღსდგა მკვდრებით ქართული ენა, აღსრულდა სანატრელი ოცნება ჩვენი ერისა, შეიქმნა ქართული უნივერსიტეტი. მაშინ აქედრდა ქართული ეროვნული ოპერა, შეიქმნა ქართული ეროვნული ლამქარი და რამდენი სხვა დიდმნიშვნელოვანი ეროვნული წამოწყება.

საქ. ეროვნული მთავრობა არ გაქცეულა, როგორც ამას ლ. სანიკიძე წერს, არამედ 1921 წლის მარტის ჩვიდმეტს, ბათომის ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით, შესდგა საქ. დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა, რომელშიც გამოიტანა დადგენილება: „წინადადება მიეცეს მთავრობას წვიდედს ევროპაში და გააგრძელოს ბძოლა საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ, მისი სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის აღსადგენად“.

არა! საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომელიც დემოკრატიულად, სრულ თავისუფლების პირობებში, ქართველმა ხალხმა აირჩია, არ ყოფილა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო „ლაჩართა და გულჩუქენთა“ მთავრობა, ეს დიდი და უხეში შეუთრაცხუვთაა ქართველი ერისა. ასეთი სტილით წერა არ ეკადრება ისტორიის მეცნიერების პროფესორს. „ მაგრამ დაღდა 1921 წელი, მოუთხრობს მკითხველებს პროფ. ლ. სანიკიძე, რუსეთიდან მოსული რევოლუტია ნატერის ინსარტყეულად დაადგა საქართველოსო.“ იძულებული ვართ გავუსწოროთ პატივცემულ პროფესორს: 1921 წელში არავითარ „სანატრელ რევოლუტიას“ არ ჰქონებია ადგილი საქართველოში, არამედ ის დაიპყრო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ. საქ. ე.წ. განთავისუფლება, რომ ნამდვილი დაპყრობა იყო ამას ქართველი ბოლშევიკებიც ვერ მალავენ. აი რას ამბობს ფილიპე მახარაძე: „ჩვენი შე-





მოსვლა დაპყრობად გადავიტყა. ხალხი გადავიდგა, ძალები არა გვყავს, იძულებული ვართ ციხის კარები ვავლოთ, იქიდან კრიმინალები გამოიყვანონ და ადმინისტრაციაში ჩაგვსაქონებენ. არც თბილისში, არც პროვინციაში, ერთი კომუჩრედი არ დაგვხვედრია. იმ დროს არავინ ფიქრობდა აჯანყებაზე.“

მოვიყვანოთ ზოგიერთი მასალები თუ როგორ შეხვდა საქ. დაპყრობას მისი ეროვნული პოეზია. მამულიშვილმა პოეტმა სულმანთმა კოტე მაცაშვილმა შემდეგი სიტყვებით დაიტრია ერის ტრაგედია: „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალხის, თებერვალმა დამისუსხა სამუდამოდ მაისი“, იოსებ გრიშაშვილმა შემდეგ სტრაქონებში ჩამოასხა ერის უბედურება:

„ჩვენ იმგვარად შევეჩვიეთ,  
ჩვენს საკუთარ ფერსა და ხმას,  
რომ ვერასდროს ვერ ვიგუებთ  
გამარჯვებულ რუსის ჩექმას.“

თქვენ ამბობდით საქართველომ  
რაც უნდა რომ გაიბრძოლოს,  
ის რუსეთის კომუნისტად  
გადიქცევა მაინც ბოლოს.

ზენაბად ვადვიქცევიო.

გულს ჩავიკლავთ აღთქმას შმაგურს  
და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ  
არც ერთ კუთხეს, არც ერთ აფურს.

ხომ ასრულდა, თქვენ მოხვედით.  
ჩვენ მივიღეთ ორივე ხელით,  
მაგრამ ხალხი არ შეგარჩენთ  
სხვის ხიშტით რომ შემოხვედით.

მოვიყვანოთ გერმანული პრესის ზოგიერთი ამონაწერი საქართველოს, 1921 წლის, თებერვლის ე.წ. „რევოლუციაზე“. „1921 წ. საბჭ. კავშირის( აქვე უნდა შევნიშნოთ: 1921 წელს საბჭოთა კავშირი არ არსებობდა, ის დაარსდა 1922 წ. დეკემბერში. მ.ლ.) წითელი არმია შეიჭრა საქართველოში, წითელი არმია, რომელიც იყო გამგრძელებელი ცარისტული ექსპანსიის პოლიტიკისა. ის შეიჭრა საქართველოში ომის გამოუცხადებლად. ახალ-გაზრდა ქართული მხედრობა მამაცურად იბრძოდა, მაგრამ რას ვახდენდა ძლიერ რუსეთის სახელმწიფოსთან(იხ. ჟურნალი „სატლანტი“ №10, 1961 წ.); „დი ნოიე ციატუნგი“ წერს: „მომდევნო წლის თებერვალში გათამაშებული იყო „ქართ. მუშების და გლეხების აჯანყება“, შედგა „აჯანყებულთა“ რევკომი, ანუ საქ. რევოლუციური მთავრობა, რომელმაც დახმარებისთვის მიმართა საბჭოთა რუსეთის მთავრობას და წითელი არმია შეიჭრა თბილისში, ორჯანიკიძის მეთაურობით...“

თავის ნარკვევით პროფ. ლ. სანიკიძე გულისტყვილით მოგვითხრობს იმ ველურრობაზე, რაც ჩაიდინეს ბოლშევიკებმა მოწამეთაში, მაგრამ არ ასახელებს მათ ვინაობას. რადგანაც მას ეუხერხულება ჩვენ დავეხმარებით, 1925 წ.-დე მოწამეთაში ესვენა წმინდა

ნაწილები დავეითის და კონსტანტინესი, სანამ ისინი კომუნისტებმა არ ამოყარეს და არ მიმოფანტეს. ამ „საგმირო“ საქმის ინიციატორი იყო საქ. კომპარტიის ცეკას წევრი ვალია ბახტაძე, რომელიც 1921 წ. ძაბრის ქუდიტ შემოვიდა წითელ არმიასთან ერთად... ჰოდა, თავი მოუყარეს ხალხს. ე. ბახტაძემ მათ თვალწინ გახსნა წმინდა კონსტანტინესი და დავეითის საკრძადავი, ნაშთი ირგვლივ მიმოფანტა, ნერონივით აღიმართა და ხალხს ხმამაღლა შესძახა: „ამ თქვენს წმინდანებს თუ რამე ძალა აქვთ უმაღლესი ვამაგიფიქრო“. ამ დროს ხალხიდან გამოვიდა ერთი დარბაისელი, თეთრწვერა იმერელი გლეხი და ბახტაძეს გაბედულად უთხრა: „შენ უკვე ვაგვიტებული ხარ შვილო, სხვაგვარი სიგიჟე არ გიწერიო.“

სიტყვამ მოიტაცა და მინდა აქ აღვნიშნო ერთი ამბავი: ერთმა ჩვენმა მეგობარმა გერმანელმა, რომელიც ტურისტად იმყოფებოდა საქართველოში, ჩამომიტანა წიგნაკი, რომლის სათაურია „საგზური-ქუთაისი“ და, რომელიც რუსულადაა. ამ წიგნში ჩამოთვლილ ღირსშესანიშნავ ადგილებში, არსად არ არის მოხსენებული მოწამეთა. გელათის ქუჩისთვის დაურქმევიათ შაუმიანის სახელი, ხოლო ქართველ კათოლიკეთა მონასტრისთვის გერმანიის კომპარტიის ბელადის ტელმანისა. ნეტავ რა დაკარგვია ან რა ესაქმება შაუმიანს ან ტელმანს აკაკისა და ვალაქტონის ქუთაისში?

ლ. სანიკიძე შეგნებულად გაურბის ძველთა ნამდვილ გამანადგურებლების დასახელებას, ის ხან „მემარცხენებს“ წვდება, ხან „მემარჯვენებს“ და ბოლოს კი აღმოუჩენია ტერმინი „რევოლუციით დაღლილები“, რობესპიერის სიტყვების მოშველებით. „რობესპიერი ამბობდაო, ბრძანებს ლ. სანიკიძე, ზოგიერთი იღლება რევოლუციით და სწო-

117/36



რედ „დადლილობის“ დროს უშვებვს გამოუსწორებელ შეცდომას“. ბატონი სანიაკიძე „დადლიობა“ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში სხედან თითქმის სამოცი წლის განმავლობაში და ანადგურებენ ჩვენი ხალხის ისეთ შემოქმედებას, რომლებზედაც მეთერთმეტე საუკუნის დიდმა მოაზროვნემ გიორგი მთაწმინდელმა ბრძანა: „დუმითილთ მოწამებენ და ხმაშაღლა ჰქადაგებენ დგაწლთა და შრომათა მათთა შემოქმედთა“.

თავის ისტორიულ ნარკვევში პროფ. ლ. სანიკიძე იმ ეროვნულ განძსაც ეხება, რომელიც ეროვნულმა მთავრობამ, ბოლშევიკ განდევნის ხელყოფისაგან დაცვის მიზნით საზღვარგარეთ გამოიტანა, და, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უკლებრივ უკან დააბრუნა. ისიც იმეორებს ზღაპარს თითქოს ყველა ქართველსა და არა ქართველს ღმებმოდეს მისი დასაკუთრება და განაივება და მხოლოდ ერთი პირის, პროფესორ ქვეთიძე თაყაიშვილის საარაკო გმირობის და თავდადებას გადაერჩინოს. ლ. სანიკიძე პირველი არ არის, რომელიც ასეთ სახავეშვო ლეგენდას იმეორებს, მაგრამ ისტორიის მეცნიერების სახელით მოლაპარაკე პირისაგან განსაკუთრებით სამწუხაროა. ქართული საგანძურით უკან დაბრუნებული დიდი მამულიშვილი და მეცნიერი უაღრესად შევიწროებული და უპატიოდ მყოფი ვარდაიცვალა. დღეს მისი სახელის განდიდებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ და მოუცილებელ საქართველოს მთავრობას. ექ. თაყაიშვილს ჩვენ დიდ პატივს ვცემთ, როგორც სახელოვან მეცნიერს და მამულიშვილს. ცარიზმის დროს, სხვა გამოჩენილ მამულიშვილებთან ერთად, მან საშვილიშვილო საქმე ვააკეთა ქართული კულტურის ძეგლთა აღსაწერად და გადასარჩენად, რომლებსაც იტაცებდნენ და ანადგურებდნენ ანაფორაში გახვეული შავრაზმელი რუსი ბერები. პროფ. ექ. თაყაიშვილი სათავეში ედგა საქ. დამფუძნებელ კრებასთან არსებულ საისტორიო-სახელოვნო სამმართველოს, მაგრამ რას გახდებოდა მსოფლიო მეცნიერი, რომ მას გვერდში არ დგომოდა გადმოხვეწილობაში მყოფი მთავრობა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები.

ქართული კულტურის ძეგლების განადგურების საქმეში, საბრალმებლო სკამზე ერთად მოთავსება „დადლილ“ ბოლშევიკებისა და საქ. მთავრობის წევრებისა სრულიად მიუღებელი და უმართებულოა. მენშევიკ მინისტრებს ქართული ძეგლის ერთი ქვეც არ წაუღიათ საკუთრი მოხმარებისათვის, მაშინ, როცა, თვით ლ. სანიკიძის მიხედვითაც, პასუხისმგებელ კომუნისტთა სასახლეები „მოვარაყებულა“ ძეგლთაზედ იტაცებულ იშვიათი მასალით.

„არა დაუხჯელი არ უნდა დარჩნენ ქართულ ძეგლთა მაოხარნიო“, ბრძანებს პროფ. ლ. სანიკიძე, მაგრამ ჩვენ არ ვიცით არცერთი შემთხვევა საბჭ. ხელისუფლებას ვინმე დაესაჯოს კულტურის ძეგლთა აოხრების გამო.

ამრიგად, პროფ. ლ. სანიკიძის ნარკვევი ერთდამავე დროს იშვიათი ისტორიული დოკუმენტია და სიყალბეც, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება საქ. დამოუცილებლობას და საბჭოურ პერიოდებს. ჩვენ გვესმის ავტორის მდგომარეობა. ის იძულებულია ასე მოიქცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ნარკვევს ვაზ, „კომუნისტი“ არ დაბეჭდავდა და მასაც ზვიად გამსახურდიას ბედი მოუვიდოდა, რომელსაც ის „პროვოკაციაზე დაგეშვილ სუბიექტს“ უწოდებს. ამის ბრალია ის წინააღმდეგობები და უზუსტობები, რომლებსაც ადგილი აქვთ ნარკვევში. ჩვენ მაინც საქიროდ ჩავთვალეთ მათი მხილება, რადგანაც საბჭ. ხელისუფლება სარგებლობს პროფ. ლ. სანიკიძის სამეცნიერო ტიტულთა და ასეთი „ისტორიებით“ ცეზავს ჩვენს ახალგაზრდობას.

მინდია ლაშაური  
მიუნენი. სექტემბერი. 1979.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო  
კონსტანტინე (კოტე) გუნიას ნეკროლოგი

კონსტანტინე გუნიას ამ დღეებში შეუსრულდა 77 წელი. რამოდენიმე ათეულ წლის განმავლობაში ის ცხოვრობდა ქ. ლიონის მახლობლად, სოფელ ეკულში, თავისი ძვირფასი მეუღლით, ქალბატონ ლიდათი. დარჩა ოთხი შიშინოსავით შვილი, და ორი შვილიშვილი. აგერ რამდენიმე წელია დაემართა გულის ინფარქტი. დროგამოშვებით ავადმყოფობდა, მაგრამ საქართველოს განთავისუფლების იმედი არასოდეს არ დაუპარგავს; სათათრეთის საზღვარზე დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, კოტე ჩამოვიდა საფრანგეთში 1927-28 წლებში.





მე, როგორც ჩემი სახლიკაცი, ხშირად დავდიოდი მის ოჯახში. ამის წინადა, ავგისტის პირველ რიცხვებში ვინახულე, მიფუტანე კახური კარგი ღვინო, რამოდენიმეჯერ გავაღწევე ბევრი ვილაპარაკეთ საქართველოზე და უკვე დღის ხუთი საათი იყო, როცა გონს მოვედით. ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში მოუვიდა კრიზისი, დააწვინეს საავადმყოფოში და ათი დღის მერე სამუდამოდ დახუჭა თვალები, 27 ოქტომბერს. 31 ოქტომბერს დავასაფლავეთ სოფ. ეკულის სასაფლაოზე. წირვა შეასრულა ადგილობრივმა კათოლიკურ ეკლესიის მღვდელმა. დაკრძალვას დაეწრენ ბევრი მეზობელი, ქარხნიდან, სადაც მუშაობდა, დედეგატები, ლიონში და მის მახლობლად მცხოვრები ქართველები. პარიზიდან, სათვისტომოს გამგებობამ გამოგზავნა გვირგვინი, რომლის ლენტაც ქართულ დროშას წარმოადგენდა.

კოტე გუნია იყო პოეტი. მას უკვე გამოცემული ჰქონდა ლექსების პირველი წიგნი, ხოლო მეორე მზად ჰქონდა, მაგრამ მისი დაბეჭდვა აღარ დასცალდა. როგორც მისი ლექსები ადასტურებენ, კოტე გუნია იყო ნამდვილი პოეტი, სამშობლოს მოძღვრალი და სამშობლოს მგალობელი პოეტი, რომლის სიყვარული და ნახვის ნატვრა მას თან გაპყვა სამარეში.

იონა გუნია  
ბანო. ნოემბერი, 1979.

**მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას :**

2 სექტემბერს ქ. კანში(სამხრეთი საფრანგეთი) გარდაიცვალა დიმიტრი აფხაზი. დასაფლავდა ქ. სენ-ჟენევიევე-დე-ბუას(პარიზის მახლობლად) რუსების სასაფლაოზე.

2 ოქტომბერს, ქ. ექს-ან პროვანსში(საფრანგეთი) გარდაიცვალა ქალბატონი მარი კერესელიძისა დაზადებული დრუჟინინა. 5 ოქტომბერს, პარიზის ქართულ ეკლესიაში წესის აგების შემდეგ, განსვენებულის ცხედარი მიბარდა ქ. ვეზინეს სასაფლაოს.

27 ოქტომბერს გარდაიცვალა კონსტანტინე(კოტე) გუნია და 31 ოქტომბერს დასაფლავდა სოფელ ეკულის(ქ.ლიონის მახლობლად) სასაფლაოზე-

24 ნოემბერს, პარიზში გარდაიცვალა ქალბატონი მარი ელიგულაშვილისა(ბატონ იოსების ოჯახობა) დაბადებული რაბინოვიჩი და 28 ნოემბერს დასაფლავდა პარიზის ბანიოს სა-ში.

26 ნოემბერს, პარიზში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შალვა ჯაველიძე.

14 დეკემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქალბატონი ივონ ურუშაძისა (ბატონ ნიკოს მეუღლე) და 18 დეკემბერს მისი ცხედარი მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

და ღრმად დამწუხარებულ სამიძიარს ვუცხადებთ მათ უნუგუშო ქირისუფალთ.

**ჩ ვ ე ნ ი ფ ო ნ დ ი ( ფ რ ა ნ გ უ ლ ფ რ ა ნ კ ე ბ შ ი )**

ალექსანდრე სულხანიშვილი	63,82	ვიტალი უგრეხელიძე	18,40
ილია კუჭუხიძე	220	დავით ვაშაძე	300
თამარ ლაღიძე	50	მართა სტურუა	60
ილია მაღლაკელიძე	200	მეგობარი ბრიუსელიდან	100
რაფიელ ჯაში	200	ერთგული მკითხველი	200
მარია ჯავახიშვილი	150	ნიკოლა ანათაძე	№,,
ილო ემუხვარი	100	ქრისტეფორე იმნაიშვილი	50
დომენტი მეტრეშვილი	92	აკაკი ბარკალაია	1000
აკაკი გამსახურდია	50	ალექსანდრე ალდაშვილი	500



რუსთაველის თეატრი შოტლანდიის მიწაზე

ამ წლის აგვისტოში, ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე რუსთაველის თეატრმა მომთხოვნა კიუტრის და მრავალრიცხოვან უცხოელ მაყურებლების წინაშე წარმოადგინა ორი სპექტაკლი: „კავკასიური ცარცის წრე“ და შექსპირის „რიჩარდ მესამე“ (დამდგმელი რიბერტ ტურთუა), რომელსაც ფრიად ვააკვირვა და გაახარა ხელოვნების მოყვარულები. გამოითქვა უამრავი დადებითი შეფასება. უცხო ქვეყნების პრესამ მეტად გულთბილი და აღტაცებული წერილები უძღვნეს თეატრს და მის ბრწყინვალე მსახიობებს. ჩვენთან, ისრაელში, ერთ-ერთმა ვაგრცულეზულმა, ყოველდღიურმა გაზეთმა(„იდიუთ ახარონოთ“, 19.10.1979. ავტორი:ავიტალ მოსინზონ) მშვენიერი სტატია უძღვნა ქართ. მსახიობებს, რომლის სათაურია: „ქართული საოცრება ედინბურგის ფესტივალზე“. ვფიქრობთ ის საინტერესო იქნება ქართულენოვან მეიბხევისათვის. მაშ ასე:

„თბილისელი ლორენს ოლივეი

„მდიდარი, გაბედული და რჩელი ნაწარმოებებიდან, რომლებიც წარმოდგენილი იყენენ ხელოვნებათა ფესტივალზე შოტლანდიის დედაქალაქში, რუსთაველის თეატრის მსახიობთა თამაში გამოირჩეოდა; მათ შეძლეს დანცივიფრებაში მოყვანათ ბრიტანელები კი შექსპირის უბადლო შესრულებით ქართულ ენაზე. რუსთაველის თეატრმა საქართველოდან წარმოადგინა ქართულად ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“. თამაში განსაკვირვებელია. თეატრის წამყვანი მსახიობია რამაზ ჩხიკვაძე. „თბილისელი ლორენს ოლივეი“. ასე უწოდა მას ერთ-ერთმა თეატრალურმა კრიტიკოსმა. ჩხიკვაძე აქ წარმოვიდგებმა ფრიად ენამოსწრებულ მოსამართლის-აზდგის როლში. იგივე აქტიური მეორე დღეს თამაშობდა რიჩარდ მესამეს შექსპირიდან. უჩვეულო ბრიტანეთში შექსპირის პიესა ქართულ ენაზე და წარმოადგინო დასი ისეთ დონეზე, რომ თვით გულიცივი სკოლებიც კი აღტაცებაში მოყვანო, ეს ხომ პირდაპირ საკვირველებაა; აი გამართლება ფესტივალისა.

საოცარია დადგმები- ერთდროული თარგმანი ინგლისურად სრულებით ზედმეტია, და შესაძლოა ამან დაამახინჯოს კიდევ წარმოდგენა. რა თეატრია! იაკობ აგმონი, რომელიც ჩემზე ორი რიჯით წინ მოთავსებულა, აყენებს წინადადებას ისრაელში ჩამოყალიბების ქართული თეატრის დასი. „როგორც კი ჩავალთ ბენ-გურიონის პაეროდრომზე“, ვგასუხობ და

ვცდილობ გავაგრძელო ეს მშვენიერი განცდა. ნაშუალამეგს, ქართველ არტისტების საპატივემოდ გამართულ ბანკეტზე წამოიჭრა უამრავი შეკითხვა: „ნუთუ გააჩნია ახსნა იმ ფაქტს, რომ ამგვარი ღამეზი ყვავილები წარმოჩინდებიან საბჭოეთის კულტურულ ცხოვრებაში, მაშინ, როცა მითითებები ცენტრიდან მოდის? ნუთუ პრესტიჟსა და სულის სიმშვიდე-“ დეს ზელოვანისას შეუძლია ამ საოცნებო მწვერვალამდე ავიდეს საბჭოურ საზოგადოებაში?

ქართველი მსახიობები პირველში ჩაკეტილი გამოიყურებიან, მაგრამ რამოდენიმე საუცხოო შოტლანდიური სირჩა ვისჯასა და ჩვენი ისრაელური წარმოშობის შეტყობის შემდეგ, პირველი საერთო ენა გამონახული იქნა. ზოგს ნაცნობი აღმოაჩნდა აშლოდისი. „არა, არა, ნუ გადაცემთ მათ ჩვენგან მოკითხვას; ოღონდ იქნებ შეგძლიათ თქვენთან წარმოდგენის გამართვა, ისრაელი ხომ დღეს-დღეობით ერთადერთი ქვეყანაა სსრკ-ს შემდეგ სადაც ესმით ჩვენი ქართული.“ და ისმის გულიანი ხმამაღალი სიცილი. ჩემი თანამოსაუბრე მზადაა განმარტოს თავისი თეატრის ეგზომ მაღალი დონის ფაქტორები: „საქართველო-ეს რუსეთი როდია, ჩვენ გავგაჩნია უძველესი კულტურული ტრადიციები, ჩვენი თეატრი ას წელზე მეტი ხნისაა და რუსეთში იციან ქართველების მიმართ მითითებათა შეუძლებლობა.“ საუბრის პერიოდში ირკვევა, რომ „ზემოდან“ მითითებათა ვარემ აკრძალულია წარმოადგინონ იუნესკო და ბეკეტი, მეროვეკი და მრავალი სხვა. მიუხედავად ამისა, თეატრმა დადგაანუის, პინტერის, იუჯინ ონილის და, რასაკვირველია ბრეხტის პიესები. თითქმის რეპერტუარის ნახევარი ორიგინალურია- უმოავრესად კომედიები ქართული ნაწარმოებებიდან.“

ჩვენი მხრიდან, ჩვენც ვულოცავთ გამარჯვებას თბილისის რუსთაველის თეატრს. ბანძელი. ისრაელი. ოქტომბერი 1979.